ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 4 ივნისი, 2021 №99 (8628) ფასი: 60 თეთრი

„ნიკა მელია გაჰყვიროდა, მეორე ვარდების რევოლუცია უნდა მოვაწყოთო“

ადვოკატი: „მოწმეთა ეს ჩვენებები ქოფი-ფეისთით არის გაკეთებული“

გვ.5

„საქართველოში რევოლუცია აშშ-ის ელჩმა დეგნანმა შეაჩერა“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „მომავალ წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება“



„ნინოწმინდის ამბავმა გვაჩვენა, რომ ქვეყანა თავზე გვაქვს დამხობილი“

გვ.2



აკაკი ბობოხიძე: „ვისაც ეკლესიაში სიმდიდრე და პოლიტიკური გავლენა აინტერესებს, ის უყოყმანოდ იცვამს ანაფორას“



გვ.3

„გახარიას პრობლემა ის არის, რომ ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილება არ აქვს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ზეპარტიული პირის თბილისის მერობის კანდიდატად დაყენება კარგი იდეაა“

ირაკლი კობახიძე: „სენატორებს ვუთხარით, რომ 2 კრიმინალი უკვე გათავისუფლებულია“

გვ.4

გვ.3

პარლამენტში შეიქმნა ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმის ჯგუფი“

„გახარიამ მუქარის წერილი პირადად მე გადმოცა“



გვ.3

ბადრი ჯაფარიძის ბრალდება

ISSN 1987-9385

2 გამოვლენილია ივანიშვილის ძმისშვილის საეჭვო გარიგებები

4 გიგა მაქარაშვილს პოლიციელებმა ხელი მოსტეხეს

5 გიგი უგულავამ თავის საქმეში ამნისტიის კანონის გამოყენებაზე უარი თქვა

6 შარლ მიშელმა ფაშინიანსა და ალიევს მოლაპარაკებების განახლებისკენ მოუწოდა

„ნინოწმინდის ამბავმა გვაჩვენა, რომ ქვეყანა თავზე გვაქვს დამხობილი“

აკაკი ბობოხიძე: „ვისაც ეკლესიაში სიმდიდრე და პოლიტიკური გავლენა აინტერესებს, ის უყოყმანოდ იცვამს ანაფორას“

იაგო ნაცვლიშვილი

ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის სკანდალი გრძელდება. მეუფე სპირიდონი სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ბავშვთა სახლში არ უშვებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. როგორც სახალხო დამცველისთვის პროკურატურიდან გახდა ცნობილი, 5 წლის წინ ბავშვთა უფლებების დარღვევაზე 4 საქმე აღიძრა, მათ შორის მცირეწლოვნის გაუპატიურების მუხლითაც, თუმცა ამ შემზარავ ისტორიას დასასრული არ უჩანს.

რასთან გვაქვს საქმე? სად არის სახელმწიფო და რატომ აძლევს ამდენის უფლებას ცალკეულ სასულიერო პირებს? რატომ დუმს საპატრიარქო? – აღნიშნულ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ გენერალური მდივანი **აკაკი ბობოხიძე** საუბრობს.

– რამდენიმე კვირაა, შემზარავ სურათს ვუყურებთ ნინოწმინდის პანსიონის თემის ირგვლივ. განსაკუთრებით მძიმე სურათი გამოჩნდა მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ 5 წლის წინ 4 საქმე ყოფილა აღძრული, მათ შორის გაუპატიურებაზეც. როდესაც ასეთ ფაქტებს ვხედავთ, სად არის სახელმწიფო?

– სახელმწიფო სად არის კი არა, ხალხი სად ვართ?! სახელმწიფო თავზე გვაქვს დამხობილი. საერთოდ რომ უმძიმესი სიტუაციაც არ იყოს და იდეალური მდგომარეობა რომც იყოს, როგორ შეიძლება, სახელმწიფოში არსებობდეს სისტემა, რომელსაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს, არაფერს ვამბობ იმ კატასტროფულ ინფორმაციაზე, რომელიც გამჟღავნდა. ეგეც რომ არ იყოს, მაშინაც კი კატასტროფული მდგომარეობაა, როდესაც სახელმწიფო ვერ აკონტროლებს ელემენტარულ სეგმენტს.

– თქვენ რა ინფორმაციის გაჟღერებას გულისხმობთ, სახალხო დამცველმა რომელიც გააჟღერა თუ კიდევ სხვა რამე გაქვთ მხედველობაში?

– დიახ, ეგ ინფორმაცია. ის, რომ სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული ბავშვთა უფლებების დარღვევაზე და მათ შორის ერთი მცირეწლოვნის გაუპატიურებაზე, მეტი რაღა უნდა იყოს?! ოღონდ, ვიმეორებ, ეს საქმეებიც რომ არ იყოს და რომც აღმოჩნდეს, რომ იდეალური მდგომარეობაა, როგორ შეიძლება, სახელმწიფომ ღვთისა და ბედის ანაბარა დატოვოს ბავშვები, იყოს დახურული ზონა, სადაც სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო კანონი არ ვრცელდება.

– რა უნდა გააკეთოს ხალხმა, რაშია ინერტული?

– არა, ხალხზე არ მაქვს საუბარი, უბრალოდ, მაინტერესებს, სად ვართ. არა მარტო სახელმწიფო, არამედ ხალხიც კი ძალიან მძიმე ადგილზე ვართ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ხდება მსგავსი რამე. არაფერი, მე მგონი, შორიდან ვუყურებთ ლამის ყველა ამ ვითარებას.

– თუ სოციალურ ქსელებს გადავხედავთ, არა მარტო შორიდან ვუყურებთ, საპატრიარქოსა და იმ კონკრეტული სასულიერო პირების „გაპრავების“ კამპანიაც კი მიმდინარეობს და ამბობენ, რომ ეკლესიას ვებრძვით. ამას რა სახელი უნდა დაერქვას?

– არ ვიცი, ზოგადად, მგონია, რომ ქვეყანაში განათლების საშინელი დონეა, როდესაც ადამიანებს შინაარსის გამოტანა უჭირთ. როდესაც ელემენტარულ რამეზეა ლაპარაკი, რომ ბავშვის უფლებები დაცული უნდა იყოს, ვიღაცას ეს საპატრიარქოს საქმეებში ჩარევა ჰგონია. რა შუაშია საპატრიარქოს საქმეებში ჩარევა და ბავშვის უფლებების დაცვა ერთმანეთთან?!

სრულ აბსურდში ვცხოვრობთ. ყველაანაირი უაზრობის დაცვა შეუძლია ამა თუ იმ ჯგუფს, იმის მიხედვით, თუ რომელ ბანაკს განეკუთვნება. ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს, სამწუხაროდ, ჩემი ჩათვლითაც. მე მხოლოდ სხვებზე არ ვლაპარაკობ. ყველაფერს ვუყურებთ იმ პოზიციიდან, რომელ ბანაკსაც ვეკუთვნით. სიმართლე არ გვაინტერესებს. თუ საწინააღმდეგო ბანაკისკენ არის სიმართლე, ვიწყებთ მის შეწინააღმდეგებას და, თუ ჩვენი ბანაკისკენ არის უსამართლობა, პირიქით, მის „გაპრავებას“ ვიწყებთ. არ ვიცი, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე და საბოლოოდ რა შეგვრჩება ხელში.

სახელმწიფოს არ ქმნიან ერები, სახელმწიფოს ქმნიან მოქალაქეები. ჩვენთან სამოქალაქო პასუხისმგებლობა ნულოვან დონეზეა და გადაფარულია ურაპატრიოტული ლოზუნგებით. 21-ე საუკუნეში სახელმწიფოს შენება ძალიან გაგვიჭირდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარეშე, თუ არ გავაცნობიერეთ, რომ სახელმწიფო ეფუძნება მოქალაქეებს, მიუხედავად ეროვნებისა, ეთნიკური წარმომავლობისა, რელიგიისა და ა.შ.

– რატომ დუმს საპატრიარქო ასეთ მნიშვნელოვან თემაზე?

– საპატრიარქო, სამწუხაროდ, დახურული საზოგადოება გახდა. შეუძლებელია, ამის გამო სხვანაირი შედეგი მიგვეღო.

– გახდა თუ ის ასეთი იყო ისედაც?

– კიდევ უფრო მეტად გახდა. მაშინ, როდესაც მეუფე იაკობი საქვეყნო საქმეებზე ლაპარაკობს, მეუფე, რომელიც რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე საუბრობს და ქართველებს შორის იარაღით იმუქრება, როდესაც ასეთი სამღვდელოება გვყავს, ცხადია, იქ სიკეთეს არ უნდა ველოდეთ.

– ანუ გამოდის, რომ ეკლესია თვითონვე ანგრევს თავის ავტორიტეტს?

– საბოლოო ჯამში – კი. მეტსაც გეტყვით, რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებისთვის, საბოლოო ჯამში, შორდება ეკლესიას.

ვინ მიდის დღეს ეკლესიაში? – ეკლესიაში დღეს მიდიან ადამიანები რწმენით და ასევე ადამიანები, რომლებსაც აინტერესებთ რწმენის მიღმა სხვა ბენეფიტი, რომელიც ეკლესიას აქვს. ეკლესიას აქვს შემდეგი ბენეფიტები: ერთია რწმენა და მეორე – პოლიტიკური გავლენები და სიმდიდრე. ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური გავლენა და სიმდიდრე აინტერესებს, უყოყმანოდ იღებს ეკლესიაში წასვლის გადაწყვეტილებას, ხოლო ადამიანი, რომელსაც მართლა სწამს, მუდმივად ყოყმანობს, არის თუ არა რწმენაში იმდენად ძლიერი, რომ იმ შეზღუდვებით იცხოვროს, რომლებიც ეკლესიის წიაღში გადასვლის შემთხვევაში მოუწევს. ამიტომ მორწმუნე ადამიანი უფრო მეტად ყოყმანობს. ვისაც ეკლესიაში სიმდიდრე და პოლიტიკური გავლენა აინტერესებს, ის უყოყმანოდ იცვამს ანაფორას.

თავად განსაჯეთ, რელიგიურ ორგანიზაციაში როდესაც დომინანტი ხდება სიმდიდრე და პოლიტიკური გავლენა, როგორი ადამიანების თავყრილობა შეიძლება მივიღოთ. ამიტომ თვითონ ეკლესიას, როგორც რელიგიურ ორგანიზაციას, ანგრევს არა მარტო ჩაკეტილობა, არამედ სწრაფვა პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური კეთილდღეობისკენ.

ამათ, ალბათ, ნაკლებად აწუხებთ ეკლესია, როგორც რელიგიური ორგანიზაცია და მთელი აქცენტი გადატანილი აქვთ პოლიტიკურ გავლენასა და სოციალურ სიკეთეებზე, რომლებსაც ისინი იღებენ, როგორც ეკლესიის წევრები. თითზე ჩამოსათვლელი იქნებიან ის მღვდლები, რომლებიც მართლა რწმენის გამო არიან ჩვენს ეკლესიაში.

– რატომ აძლევს ამდენ უფლებას ეკლესიასა და კონკრეტულ სასულიერო პირებს ხელისუფლება?

– სამწუხაროდ, ამ შეცდომას სათავე ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდიდან დაედო. იმისთვის, რომ ეკლესია პოლიტიკური მომხრე თუ არა, პოლიტიკური მოწინააღმდეგე მაინც არ ყოფილიყო, მას დიდი პრივილეგიები მიენიჭა. დღევანდელმა ხელისუფლებამ თავისი არსით ეკლესია მოკავშირედ გაიხადა. ოღონდ მოკავშირეობა ერთმანეთთან კონკურენციასა და ერთმანეთთან საჭიროების მტკიცებებს არ გამორიცხავს. დღევანდელი ეკლესია ერთ სულ და ერთ ხორცად არსებობს დღევანდელ ხელისუფლებასთან, ამიტომ პერიოდულად ახსენებს მას თავის საჭიროებას, რათა კიდევ უფრო მეტი გავლენა და ბენეფიტი მიიღოს ამ ხელისუფლებისგან.

ეს მდგომარეობაა და ყველაფერი მაინც სამოქალაქო საზოგადოებამდე დადის. რაც ერი, ის ბერიო – ასეთია ძველი ქართული ანდაზა, რომელიც ერთი ერთში აღწერს დღევანდელ სიტუაციას.

რობ პორტმანი: „აშშ-ს რეგიონში საქართველოზე უკეთესი მოკავშირე არ ჰყავს“

– ჩვენ აქ ჩამოვედით მეგობრებთან შესახვედრად. ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ჰყავს უკეთესი მოკავშირე რეგიონში, ვიდრე ეს საქართველოა.

ამის შესახებ რესპუბლიკელმა სენატორმა რობ პორტმანმა 3 ივნისს პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა ყველა მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს დემოკრატიულობის გაძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა.

ამასთანავე, რობ პორტმანის განმარტებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს საქართველოსთან დაკავშირებით ერთნაირი ხედვა აქვთ და მას დიდებულ მეგობრად აღიქვამენ.

– საქართველოს დამოუკიდებლობიდან სამი ათწლეული გავიდა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა ყველა მიმართულებით, ეს გულისხმობს უზრუნველყოფას, რომ საქართველოს დემოკრატიულობა აგრძელებს გაძლიერებას, იმის უზრუნველყოფას, რომ საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა უმჯობესდება და იმაში დარწმუნებას, რომ საქართველოს შეუძლია მისი დამოუკიდებლობითა და სუვერენიტეტის განმტკიცება.

სენატორი შაჰინიც და მეც – ორივე ვართ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრები და, შემიძლია გითხრათ, რომ როგორც რესპუბლიკელების, ასევე დემოკრატების მხარეს, ყველას აქვს ერთნაირი ხედვა საქართველოსთან დაკავშირებით. ჩვენ ვხედავთ საქართველოს არა მხოლოდ როგორ დიდებულ მეგობარს, არამედ ჩვენ, ასევე, გვაქვს განსაკუთრებული კავშირი საქართველოს მოსახლეობასთან, რომელიც ეძებს და მიისწრაფვის თავისუფლებისკენ. გვსურს, საქართველოს მოსახლეობას მივცეთ შესაძლებლობა, რომ დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის ბენეფიტებით სარგებლობა შეძლონ, – განაცხადა პორტმანმა.

მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენლების მხრიდან საუკეთესო, იდეალური ერთობის შექმნის მიზნით.

– მნიშვნელოვანია, რომ 19 აპრილის შეთანხმება განხორციელდეს, მასში გაკეთებული პუნქტები იყოს აღსრულებული. მათ შორის ვიცით, რომ საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით არის ფართო შეთანხმება მხარეებს შორის, სასამართლო რეფორმას რაც შეეხება, აქ არ არის ერთიანი სულისკვეთება. ვიცით, რომ დამატებითი დეტალებია, რომლებზეც მუშაობა უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ვთვლით, რომ 19 აპრილის შეთანხმება არის მნიშვნელოვანი და იგი ემსახურება ქვეყნის ინტერესებს, გამოხატავს ნამდვილად იმ სულისკვეთებას, რომელიც წაადგება ქვეყანასა და მის მომავალს, – განაცხადა პორტმანმა.

გამოვლენილია ივანიშვილის ძმისშვილის საეჭვო გარიგებები

ელიტური კორუფცია საქართველოში – „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მაღალი დონის სავარაუდო კორუფციის გამოუძიებელი შემთხვევების შესახებ ვრცელ კვლევას აქვეყნებს.

ორგანიზაციამ ბიძინა ივანიშვილის ძმისშვილისა და მისი ბიზნესპარტნიორების საეჭვო გარიგებები აღმოაჩინა. უფრო კონკრეტულად, საუბარია სამშენებლო ბიზნესში ივანიშვილის ნათესავის ინტერესზე.

ივანიშვილის სახელთანაა კავშირში ბიუჯეტიდან წაღებული 125 მილიონის ამბავიც. კომპანიამ ბიძინა ივანიშვილს სახლის ასაშენებლად ჯერ მიწა მიჰყიდა, შემდეგ კი „ქართუს“ პროექტებში ჩაერთო.

კვლევაში საუბარია რეგიონის მაღალჩინოსნების საეჭვო გამდიდრებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ შეისწავლა და დაადგინა, რომ ხელისუფლების ინტერესია ჰესებში, გზების მშენებლობაში, მიწების მისაკუთრებასა თუ სახელმწიფო შესყიდვებში.

განსაკუთრებით საგანგაშოა სურათი საქართველოს რკინიგზაში, რომელმაც უკანონო გარიგება ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის კომპანიას დაუდო.

საეჭვოდ გამდიდრებულთა სიაში კი ირაკლი ღარიბაშვილი, ალექსანდრე ჭიკაიძე, ლევან იზორია და ოთარ ფარცხალაძე მოხვდნენ.

ცალკე თავები ეთმობა ხელისუფლების მაღალჩინოსნების არადეკლარირებულ და დამალულ ქონებას.

18 წლის მარიამ ბეგიაშვილის სექსუალურად შევიწროებისთვის ტაქსის მძღოლი 300 ლარით დააჯარიმეს

50 წლის ტაქსის მძღოლი, რომელმაც 18 წლის მარიამ ბეგიაშვილი სექსუალურად შეავიწროვა, სასამართლომ 300 ლარით დააჯარიმა. მოსამართლემ ბრალდებული ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო.

თბილისში ტაქსის მძღოლმა 18 წლის გოგონა სექსუალურად რამდენიმე დღის წინ შეავიწროვა. მარიამ ბეგიაშვილი აცხადებს, რომ 50 წლამდე კაცმა მის მიმართ სექსუალური შევიწროება განახორციელა როგორც სიტყვიერი, ისე ფიზიკური ქცევით.

18 წლის გოგო ყვება, რომ მამაკაცი სექსუალური ხასიათის ფრაზებს იყენებდა, მას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა და ამ დროის განმავლობაში ფიზიკურადაც შეეხო, რამაც ახალგაზრდა ქალს მგზავრობისას დამამცირებელი და ღირსების შემლახავი გარემო შეუქმნა.

საქმის მასალებში დევს აუდიოჩანაწერიც, რომელიც ქალმა მგზავრობისას ჩაიწერა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარიას პრობლემა ის არის, რომ ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილება არ აქვს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ზეპარტიული პირის თბილისის მერობის კანდიდატად დაყენება კარგი იდეაა“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, მამუკა ხაზარაძის განცხადება, რომ თბილისის მერობის კანდიდატი ზეპარტიული ფიგურა, მეურნე იყოს, რა გზავნილია, რომ შეიძლება, ისინი ვერ შეთანხმდნენ ერთ რომელიმე პოლიტიკურ ლიდერზე?

– „ლელოც“ და, როგორც ჩანს, დანარჩენი ოპოზიციაც, აცნობიერებს, რომ თუ იქნება რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, ის ვერ იქნება ოპოზიციური ამომრჩევლის გამაერთიანებელი. ეს რეალობაა და ამის განცდა აქვს ოპოზიციას. სწორი და საინტერესო იდეაა, თუმცა, რამდენად შეძლებენ ასეთი კანდიდატის შერჩევას, ეს მეორე საკითხია.

მე მაინც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია, ამ პიროვნების მიმართ საზოგადოების დიდი ნდობა იყოს. მე ვურჩევდი, ასეთი კანდიდატი მათ საზოგადოებრივ მოძრაობაში ეძებონ.

– საზოგადოებაში პოპულარული სახე?

– პოპულარული სახე, ინტელექტუალი, რომელსაც აქვს ცნობადობა და ნდობა. რაც მთავარია, ამ კანდიდატთან კორუფციულობისა და კლანურობის დაკავშირება სრულიად უნდა იყოს გამორიცხული. იდეა კარგია, მაგრამ მისი რეალიზაცია, მეეჭვება, მარტივი იყოს.

– საუბარია ისეთი რაღაცაზე, რაც მოხდა 2012 წლის არჩევნების წინ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის განაცხადი გააკეთა?

– მეც სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, მაგრამ მეორე ბიძინა ივანიშვილი არ არსებობს. გასაგებია, რაზეა გათვლა, რა არის სურვილი, მაგრამ, მეეჭვება, რამდენად გამოუვათ.

როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ კანდიდატი კვლავ კახა კალაძე იქნება, მიუხედავად იმისა, რომ მას ჯერ ეს არ დაუდასტურებია. თუ კალაძე იყრის კენჭს, ის იქნება სერიოზული კანდიდატი. საკმაოდ გავლენიანიც არის. ოთხი წელი იყო მერი, გამოცდილებაც აქვს და წარმატებულიც იყო. საზოგადოების დიდი აღშფოთება მის მიმართ არ ყოფილა. „ქართულ ოცნებაში“ თუ ვინმე იყო და არის ლიდერი, ეს დღემდე კახა კალაძეა. გახარია იყო, მაგრამ ის წავიდა. ამიტომ კალაძე ნამდვილად სერიოზული კანდიდატია. როგორც ჩანს, ეს აფიქრებს ოპოზიციას და ეძებს რეალურ საპირწონეს, რაც მისასალმებელია.

– გიორგი გახარია ახსენეთ. ის არ არის ბევრ საკითხზე ჩამოყალიბებული, არ იცის, ეყოლება თუ არა თბილისის მერობის კანდიდატი თუ სხვას დაუჭერს მხარს.

– ეს იყო არასწორი განცხადება. არ უნდა ეჩქარა. თვითონ რომ არ იყრის კენჭს, სწორი გადაწყვეტილებაა. ახალი ძალა თუ პირველივე გამოწვევაზე მარცხს იწვნევს, ეს ძალიან ცუდია. ამიტომ სწორი გადაწყვეტილებაა.

მეგონა, უფრო საფუძვლიანი იქნებოდა მისი გამოსვლა, უფრო დამაჯერებელი და პრობლემებზე ორიენტირებული. საკმაოდ უღიმღამო პრეზენტაცია იყო, ისევე, როგორც ჟურნალისტებთან შეხვედრა. მას არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება, მით უფრო – ოპოზიციაში ყოფნის. თანამდებობიდან არის მოსული. ასე დაიწყო მისი პოლიტიკური კარიერა, მაგრამ ოპოზიციაში ყოფნა სულ სხვაა.

მას აქვს პოლიტიკური რეიტინგი, მაგრამ, ეს რეიტინგი რომ შეინარჩუნოს, უნდა გამოკვეთოს ის თემები, რომლებითაც იქნება განსხვავებული დანარჩენი პოლიტიკური სპექტრისგან. მან უნდა იპოვოს ის თემები, რომლებითაც შეიქმნის პოლიტიკურ იმიჯს. ამისთვის ყოფილი პრემიერობა საკმარისი არ არის.

– გრიგოლ ვაშაძის დაბრუნებაზე რას იტყვით? ახალ ფრაქციაში ერთიანდება, რომელსაც „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“ ეწოდა.

– ხომ არ ჯობდა, „ვაშაძეების ფრაქცია“ დაერქმიათ? ხუმრობა იქით იყოს, გრიგოლ ვაშაძეს თავიდანვე სწორი პოზიცია ჰქონდა პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. ახლა, როდესაც უერთდება ამ ფრაქციას და პარლამენტში შედის, ეს ჩემთვის არ იყო მოულოდნელი, პირიქით, ის ამის მომხრე იყო და შევიდა კიდეც.

რაც შეეხება ფრაქციის სახელწოდებას, ზედმეტად გაპრანჭული მეჩვენება. ალბათ, უფრო საგარეო მოხმარებისთვის არის, ვიდრე საშინაო და რეალური საქმისთვის.

– განსაკუთრებულად ხომ არ იბრძოლებენ თითოეული მუხლის შესრულებისთვის?

– სხვებმაც მოაწერეს ხელი ამ დოკუმენტს და, ალბათ, ისინიც იბრძოლებენ მის შესასრულებლად. რა გითხრათ, უფრო სხვა ემოციებს იწვევს, ვიდრე გულწრფელობას. შარლ მიშელს, ალბათ, გაუხარდება და, შეიძლება, ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი.

ჯინ შაჰინი: „მნიშვნელოვანია რეფორმების სვლის გაგრძელება დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფით“

– ოქტომბრის არჩევნები მაქსიმალურად სამართლიანი და თავისუფალი რომ იყოს, მნიშვნელოვანია რეფორმების სვლის გაგრძელება დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფით.

ეს განცხადება 3 ივნისს თბილისში გააკეთა ამერიკელმა სენატორმა ჯინ შაჰინმა.

მისივე თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები აღნიშნულ არჩევნებს ყურადღებით დააკვირდება.

– ყველა შეხვედრაზე, რომელიც დღეს გავმართეთ, ხაზს ვუსვამდით იმ მნიშვნელობას, რომელიც ენიჭება ადამიანის უფლებების, მოთხოვნების დაცვასა და უზრუნველყოფას. ეს გულისხმობს, რა თქმა უნდა, სამართლიან არჩევნებს, სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას და საარჩევნო რეფორმის წარმოებას. მნიშვნელოვანია 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთების გაგრძელება. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს მოლაპარაკებები მხარეებს შორის.

რაც შეეხება არჩევნებს, დიახ, ოქტომბრის არჩევნები იქნება ნამდვილად დაკვირვების ქვეშ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებით დააკვირდება ამ არჩევნებს. ვიცი, რომ ევროპაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც გამოგზავნის საქართველოში დამკვირვებლებს, რომლებიც ამ პროცესს უშუალოდ ადგილზე დააკვირდებიან. იმისათვის, რომ ეს არჩევნები მაქსიმალურად სამართლიანი და თავისუფალი იყოს, მნიშვნელოვანია რეფორმების სვლის გაგრძელება დამოუკიდებელი სასამართლოს უზრუნველყოფით, – განაცხადა სენატორმა.

მისივე თქმით, რუსეთი ცდილობს, დააშინოს მის სამეზობლოში მყოფი სახელმწიფოები, რომლებმაც ჩრდილოატლანტიკური გზა და დასავლეთისკენ სვლა აირჩიეს. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ რჩება საქართველოს მტკიცე პარტნიორად.

– გვქონდა შესაძლებლობა, რომ გავსულიყავით და ადგილზე გვენახა ადმინისტრაციული გამყოფი საზღვარი, ჩვენ ვნახეთ, თუ რაოდენ დიდ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის რუსი ჯარისკაცები და რუსული შეიარაღება, რომელიც დამიზნებულია საქართველოს მისამართით. გავეცანით პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგანან საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც არ ეძლევათ საშუალება, მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ჯანდაცვის მომსახურება თუ განათლება.

რუსეთის ქმედება აშკარაა, რომ დააშინოს მის სამეზობლოში მყოფი სახელმწიფოები, რომლებმაც ჩრდილოატლანტიკური გზა და დასავლეთისკენ სვლა აირჩიეს, რომელიც ამ სახელმწიფოებს და მათ მოქალაქეებს სთავაზობთ უკეთეს მომავალს, ვიდრე თავად რუსეთს შეუძლია შესთავაზოს.

ზუსტად ამიტომ ვუჭერთ მხარს საქართველოს და საქართველოში რეფორმების განხორციელებას და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას იმისთვის, რომ მეტი შესაძლებლობები შეიქმნას საქართველოს მოქალაქეებისათვის და მეტად შეძლონ მათ თავისი უფლებების გამოვლენა. ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ რჩება საქართველოს მტკიცე პარტნიორად, – განაცხადა შაჰინმა.

პარლამენტში შეიქმნა ფრაქცია „შარლ მიშელის რეფორმის ჯგუფი“

პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია სახელწოდებით „შარლ მიშელის რეფორმის ჯგუფი“ შეიქმნა. 7 წევრისგან შემდგარ ფრაქციაში წარმოდგენილი არიან დეპუტატები: ხათუნა სამნიძე, გიორგი ვაშაძე, პაატა მანჯგალაძე, ტარიელ ნაკაიძე, თეონა აქუბარდია, ზურა ჯაფარიძე და გრიგოლ ვაშაძე.

ფრაქციას ხათუნა სამნიძე უხელმძღვანელებს, მოადგილე პაატა მანჯგალაძე იქნება.

ხათუნა სამნიძის განცხადებით, გაერთიანების მთავარი საფუძველი არის სწორედ შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტი, რომელსაც ფრაქციის თითოეულმა წევრმა ხელი მოაწერა. ამასთანავე, სამნიძის განმარტებით, ფრაქციის ერთადერთი მიზანი შეთანხმების დოკუმენტის პუნქტების განხორციელება არ იქნება.

– ჩვენ დავარეგისტრირეთ პარლამენტში პირველი მრავალპარტიული და დამოუკიდებელი დეპუტატებით დაკომპლექტებული ჯგუფი, ფრაქცია. გაერთიანებისა და ერთად საპარლამენტო მუშაობის ჩვენი მთავარი საფუძველი არის შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტი, რომელსაც თითოეულმა ჩვენგანმა ხელი მოაწერა და აიღო პარტიული და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომ გააკეთებს ყველაფერს და გამოიყენებს ყველა ბერკეტს საპარლამენტო მუშაობისას იმისთვის, რომ შესრულდეს ყველა პუნქტი, რომლებიც ნახსენებია ხაზგასმით და ეხება ფუნდამენტურ რეფორმებს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული განვითარებისთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი მხოლოდ ეს პუნქტები არ იქნება. ამ ფრაქციაში გაერთიანებულია 3 პოლიტიკური პარტია: „სტრატეგია აღმაშენებელი“, „გირჩი მეტი თავისუფლება“, რესპუბლიკური პარტია“ და დამოუკიდებელი დეპუტატები: გრიგოლ ვაშაძე და ტარიელ ნაკაიძე. ჩვენ გვექნება ჩვენი ინდივიდუალური სამოქმედო ველი, მაგრამ გავერთიანდით რეფორმების გასატარებლად ჩვენს კოლეგებთან ერთად, – განაცხადა სამნიძემ.

ბორჯომის პარკში შესვლა უცხოელებისთვის 2 ლარი ეღირება

ბორჯომის ცენტრალურ პარკში შესვლა უცხოელი ტურისტებისთვის ორი ლარი გახდა, საქართველოს მოქალაქეებისთვის კი კვლავ უფასო იქნება.

– უცხოელებისთვის გახდა ორი ლარი. რაც შეეხება ბორჯომელებსა და საქართველოს სხვა ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც პასპორტში საქართველო უწერია, ყველასთვის უფასოა. სავარაუდოდ, ამ სეზონზე ასე იქნება, – ამბობს ბორჯომის პარკის დირექტორი მერაბ იობაშვილი.

მისივე თქმით, პარკის ტერიტორიაზე ატრაქციონებმა ფუნქციონირება განაახლეს.

ბილეთების ფასები უცვლელი დარჩა.

„გახარიამ მუქარის წერილი პირადად მე გადმომცა“

ბადრი ჯაფარიძის ბრალდება



– მუქარის შემცველი წერილი პირადად გიორგი გახარიამ გადმომცა.

„ლელოს“ ლიდერმა ბადრი ჯაფარიძემ ეს განცხადება 3 ივნისს გააკეთა.

– ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ არანაირი შუამავალი არ არსებობდა. ეს იყო ჩვენთვის გადმოცემული წერილი. ვიყავით ადრესატები მე და მამუკა. მან წერილი გადმომცა პირადად მე. სად და როგორ შევხვდით, ეს პროკურატურამ უნდა გადაამოწმოს.

პროკურატურას აქვს გადაცემული წერილი, ასევე, ბრიტანეთის ლაბორატორიის მიერ გამოვლენილი თითის ანაბეჭდები. ყველა შესაძლებლობა ჰქონდა წელიწად-ნახევრის განმავლობაში პროკურატურას, რომ თუნდაც მე ან მამუკა გამოვეძახებინეთ, დაესვათ კითხვები და ჩვენ აუცილებლად პასუხებს გავცემდით, მაგრამ ფაქტი ერთია, არაფერი სიახლე მე არ მითქვამს. ბატონმა გახარიამ გადმოგვცა ეს წერილი, რომელიც შეიცავდა მუქარას, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ. რა ვითარებაში გადასცა ყოფილმა პრემიერმა თიბისი ბანკის ხელმძღვანელს მუქარის შემცველი წერილი, ისევ უცნობია.

დიდი დიღმის სკვერში მამაკაცი პატარა გოგონებს სექსუალურად ავიწროებდა

დიდი დიღმის ერთ-ერთ სკვერში მამაკაცი არასრულწლოვნების სექსუალურ შევიწროებაში შენიშნეს. ინფორმაცია სოციალურ ქსელში ვრცელდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ ფაქტს რამდენიმე თვითმხილველი ჰყავს. ისინი მამაკაცის გარეგნობასაც აღწერენ და აცხადებენ, რომ ის ძირითადად ნასვამ მდგომარეობაშია.

– ამბობენ, რომ არის ჭაღარა, მაღალი და ძირითადად არის ნასვამ მდგომარეობაში. რამდენიმე თვითმხილველი არსებობს, რომ დაინახეს ასეთი ფაქტი, რომ პატარა გოგონებს სთავაზობდა წამოდი, კანფეტს გიყიდი, სად ცხოვრობ, ვისთან ერთად ცხოვრობო, – აცხადებს ადგილობრივი.

კიდევ ერთი ადგილობრივი ამბობს, რომ მამაკაცი, სავარაუდოდ, დაოჯახებულია:

– სუსტი, მაღალი კაცია, კარგად ჩაცმული და ვიღაც წერდა, ხელზე „კალიცოც“ უკეთიაო. ასაკიანია, – ამბობს „კურიერთან“ დიდი დიღმის კიდევ ერთი მცხოვრები.

ქმედება დიდი დიღმის მესამე მიკრორაიონში მოხდა.

სამართალდამცავებმა უკვე გამოკითხეს პირი, რომელმაც ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„საქართველოში რევოლუცია აშშ-ის ელჩმა დეგნანმა შეაჩერა“

მირიან მირიანაშვილი: „მომავალ წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება“

მარიამ მჭედლიშვილი

რა მოხდება მომავალ წელს საქართველოში? რომელი სარეზერვო რევოლუციური სცენარი იგეგმებოდა გახარიას მონაწილეობით? რას აპირებს რუსეთი საქართველოში? ვისთან ჰქონდათ დაგეგმილი შეხვედრა ამერიკელ სენატორებს და ვინ ცდილობს მათთან კომუნიკაციას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.



რისთვის სჭირდება ბიძინა ივანიშვილს კონტაქტი დასავლურ მედიასთან?

– საზოგადოებასთან შეხვედრაზე აღნიშნეთ, რომ მომავალ წელს საქართველოში, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, გაიმართება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები. პოლიტიკური სპექტრის აბსოლუტური უმრავლესობა საპარლამენტო არჩევნებზე აღარ საუბრობს. ასეა?

– ჩემს განცხადებაზე მოგვიანებით გეტყვით. დავიწყებ პოლიტიკური სპექტრით, რომელიც ცოტა ხნის წინ თითქოს გამალებით მოითხოვდა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. რეალობაში, ამ პოლიტიკურ სპექტრს და მის ჩრდილოელ კურატორებს სხვა გეგმა ჰქონდათ ჩაფიქრებული. არჩევნები უნდა მოჰყოლოდა რევოლუციას. საშემოდგომო რევოლუცია ჩაუვარდათ. ეს სპექტრი, წინასაარჩევნოს მაგივრად, წინასარევოლუციო კამპანიას ატარებდა. ხელის მოცარვის შემდეგ იძულებული იყვნენ, მოეთხოვათ ვადამდელი არჩევნები. ხალხისთვის და დასავლელი პარტნიორებისათვის – არბიტრებისათვის უნდა ეჩვენებინათ პოზიტიური დღის წესრიგი. იყო განზრახული საგაზაფხულო რევოლუციაც. გახარიაზე რომ ამბობენ, ნაციონალებთან უნისონშიაო, ეს ფრაზა არ არის უსაფუძვლო.

– შემოდგომის რევოლუციური სცენარის ჩაფლავების შემდეგ გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო მსგავსი მოვლენები?

– ცხადია. მოვლენები დაიწყო თებერვალში გახარიას გადადგომით. ეს იყო რუსეთისა და მისი აქაური მრავალპარტიული შემსრულებლების სარეზერვო ვარიანტი. უნდა მომხდარიყო სახალხო ენერგიის დემონსტრირება. იგეგმებოდა წინაზე უფრო კარგად მომზადებული სარეზერვო რევოლუცია ნაციონალებისა და გახარიას მონაწილეობით. ყველაფერი ჩაშალა და ქვეყანა კიდევ ერთხელ გადაარჩინა აშშ-ის ელჩმა. მისმა ზარმა შეაჩერა ტალღა. მან, ვისაც საჭიროა, იმას დაურეკა და კიდევ ერთ რევოლუციას გადავრჩით. ჩაფიქრებული იყო საპარლამენტო და სამთავრობო კრიზისი. გახარიასთან გადასვლის საბაბით უმრავლესობა უნდა დაეტოვებინა ბევრად მეტ ადამიანს, ვიდრე ეს მოხდა. უმრავლესობის დაშლა ავტომატურად მოიტანდა ვადამდელ არჩევნებს.

– მომავალი წლის არჩევნების პროგნოზზე გკითხეთ.

– ასეთი შესაძლებლობა არსებობს. საპრეზიდენტო არჩევნების საკითხი პოლიტტექნოლოგიურად დამუშავების სტადიაშია. შესაძლებელია, ორივე არჩევნები შემოდგომაზე გაიმართოს ან გაზაფხულზე ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნები გაიმართება 95%-იანი ალბათობით, საპრეზიდენტო – 75%-ით.

– 43%-იანი ბარიერის გადალახვა შეუძლებელი იქნება? მემორანდუმის თანახმად, თუ „ქართული ოცნება“ ადგილობრივ არჩევნებზე 43%-ზე ნაკლებს აიღებს, ინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– ფაქტობრივად, ეს 43% გადაულახავია. ისეთი მოცემულობაა, რომ „ოცნება“ 43%-ს ვერ მიაღწევს. მოხსნის თუ არა დღის წესრიგიდან პოლიტიკური სპექტრი ვადამდელი არჩევნების საკითხს, სულ ერთია. პრაქტიკულად, პოლიტიკოსებმა ამაზე თანხმობას მიაღწიეს და ეს საკუთარი ხელმოწერებით დაადასტურეს. ამერიკელი სენატორები, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან საქართველოში, იმ რეალობაზე არიან ორიენტირებული, რომელიც მომავალ წელს იქმნება.

– ამბობენ, რომ ალექსანდრ დუგინის ეგიდით, რომელსაც ლევან ვასაძე შეხვდა, იგეგმება დიდი გაერთიანების ჩამოყალიბება, რომელშიც შევლენ ძველი და ახალი პოლიტიკური ჯგუფები, პრორუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული პიროვნებები. ამაზე თუ გაქვთ ინფორმაცია?

– როგორ არა. ჩემი მონაცემებით, რუსული გაერთიანება იქმნება ჩემი პარტიის სახელის გამოყენებით.

– ადრე აღნიშნეთ, რომ ხდება თქვენი პარტია „ერის“ სახელწოდების დუბლირება. მაშინ ეს ლევან ვასაძის „ერთობა, რაობა, იმედზე“ თქვით.

– იმის საქმის კურსშიც ვარ, რომ ჩემი სახელწოდების დუბლირებას რაღაც დიდი გაერთიანების შემთხვევაშიც აპირებენ. ვასაძეც აქ უნდა შეიყვანონ, სხვა პატარ-პატარა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფებიც. ამ გაერთიანებამ უნდა გააერთიანოს ეროვნული მოძრაობა, ეკოლოგიური საკითხები და ტრადიციული ღირებულებები. თავიდან მოძრაობას უნდა მიეცეს ანტითურქული ჟღერადობა, რომელიც გადაიზრდება ანტიდასავლურ მიმართულებაში. ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის აპოლოგეტი არა ვარ. კონტრაქტი ბევრისთვის კაბალური და მიუღებელია. ახალი რუსული პროექტი ამ თემას თავისთვის გამოიყენებს.

– დუბლირება როგორ უნდა გამოუვიდეთ, როცა პარტია „ერი“ რეგისტრირებული გაქვთ?

– ვერ გამოუვათ. რუსეთიდან დირიჟირებულ პირებს უნდათ, ჩემ მიმართ 2003 წელი გაიმეორონ. არ გამოუვათ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 1999 წელს მე ჩამოვაყალიბე. რამდენიმე წელიწადში ჯერ ამ სახელის მსგავსი ორგანიზაციები შექმნეს, შემდეგ კი სააკაშვილმა რუსეთის უშიშროების დახმარებით პარტია წამართვა. ამას სამართლებრივი გზით დავუპირისპირდი. სხვა რესურსები არ მქონდა. დღეს მაქვს საგარეო მხარდაჭერაც და ხალხის თანადგომაც.

პარტია „ერი“ 2020 წლის დეკემბერში დავაფუძნე და 9 თებერვალს დავარეგისტრირე. ამ დღეებში, 30 მაისს, ყაზბეგის გამზირზე, წითელ პარკში, მეორე, 400-კაციანი ყრილობა გვქონდა. პირველ რიგში, ხელისუფლებას ვაფრთხილებ, ხელს ნუ მიშლიან. თუ არ გაჩერდებიან, დასავლელ მოკავშირეებს წარვუდგენ ხელისუფლების იმ წევრებისა და მათ მიერ მართული პოლიტიკოსების სიას, რომლებიც ჩემს პარტიას ძირავენ.

– ახალ კომიკურ ფიგურებს არ დაასახელებთ, რომლებსაც რუსეთი პოლიტიკაში შემოსაყვანად ამზადებს?

– ეს რუსეთის ჩვეულებრივი აგენტურაა. სადაც ეტყვიან, წადიო, იქ წავლენ კადრის თანამშრომლები. თუ არ შეწყდება ჩემზე იერიში, მაშინ ჩემთან მებრძოლების ნუსხას ამ აგენტურიანად გავასაჯაროებ და აშშ-ის საელჩოს გადავცემ. არამართული ორგანიზაცია მაქვს და იმიტომ მებრძვიან. არ ვჯდები რუსულ მართულ სისტემაში. არსებული სისტემისთვის სასიცოცხლოდ შეუთავსებელი ვარ.

– გახარიაზე ჩვენთან ინტერვიუში ნათქვამი გაქვთ, რომ რუს პოლიტტექნოლოგებს მისგან პოლიტიკური ვარსკვლავის შექმნა არ გამოუვიდათ. მას შემდეგ მან პარტია დააარსა. ახლა რას იტყვით?

– რამდენიმე დღეა, საქართველოს ელექტრონული მედიისთვის გახარია გამხდარია უმთავრეს თემად.

– მმართველი პარტიის ლიდერების აზრით, მასზე ნაცმოძრაობის ტელევიზიები მუშაობენ.

– ამას ვინ დაიჯერებს. ელექტონული მედია ერთი დირექტივებით, ერთიანი მმართველობით მუშაობს. ნიუანსურ განსხვავებებსა და სცენარებით გათვალისწინებულ მრავალფეროვნებას თავისი დანიშნულება აქვს. გახარიაზე ლაპარაკობენ მთავარ სიუჟეტებში იმ დროს, როცა ყველაზე უკანა პლანზეა გადატანილი პრემიერ ღარიბაშვილის უმნიშვნელოვანესი ვიზიტი თურქეთში. მას ანკარაში უმაღლესი დონის შეხვედრა მოუწყვეს, განსხვავებით მისი წინამორბედებისაგან, იმავე კვირიკაშვილისაგან. მაქვს ინფორმაცია, რომ გახარიას უზომოდ გაპიარების ერთ-ერთი მიზანი ამერიკელი სენატორების დაინტერესებაა.

– დაინტერესება?

– მათ დაგეგმილი ჰქონდათ შეხვედრები საპარლამენტო პარტიებთან. გახარიას პარლამენტში თავისი გუნდი ჰყავს, თუმცა სენატორები მასთან კომუნიკაციას არ აპირებდნენ. ახლა, როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, არის რეკვა და ერთი ამბავი. როგორმე უნდათ, შეხვედრებში გახარიაც ჩართონ. თუ გამოუვიდათ, ეს იქნება კომუნიკაცია ზრდილობისათვის.

ტელევიზიებისთვის დირექტივების გაცემა შეეძლო ერთ გავლენიან კაცს. იგი 5 თვის წინ წავიდა პოლიტიკიდან. ამერიკელი სენატორების ჩამოსვლამდე, ახლა, რამდენიმე დღის წინ, ივანიშვილმა კიდევ ერთხელ გაახმიანა, რომ არ მონაწილეობს პროცესებში. მას დიდი სურვილი აქვს, მისცეს ინტერვიუ დასავლეთის რომელიმე მედიას და იგივე უთხრას. თუ ეს არ გამოუვიდა, მაშინ გაავრცელებს დაფინანსებულ პუბლიკაციას იმის შესახებ, რომ არ ერევა პოლიტიკაში და არ პასუხობს სატელეფონო ზარებს.

ირაკლი კობახიძე: „სენატორებს ვუთხარით, რომ 2 კრიმინალი უკვე გათავისუფლებულია“

– ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ ჩვენს პარტნიორებს, ვუთხარით, რომ ორი კრიმინალი უკვე გათავისუფლებულია, ვუთხარით, რომ ამნისტიის შესახებ კანონი დამტკიცდება ძალიან მალე და ვუთხარით ასევე ის, რომ იმუნიტეტთან დაკავშირებული რეგულაციებიც დამტკიცდება ძალიან მალე და, შესაბამისად, შეთანხმების ეს პუნქტი უკვე აღსრულებული იქნება ამ თვის ბოლომდე.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ამერიკელ სენატორებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე მხარეებმა შარლ მიშელის დოკუმენტის აღსრულების მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

– სენატორებთან ძალიან საინტერესო და მეგობრული შეხვედრა გვქონდა. სენატორებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით იმაში, რომ მთელ რიგ სენატის მიერ დამტკიცებულ აქტებში საქართველოს მყარი მხარდაჭერაა ასახული. მათი როლი მნიშვნელოვანი იყო შიდაპოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების კუთხით. ჩვენ სენატორ შაჰინთან შეხვედრა გვქონდა ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ხელი მოეწერებოდა აპრილის შეთანხმებას და ამ დისკუსიამ, ამ შეხვედრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმაში, რომ სწორი ნაბიჯები გადავდგით საბოლოო ჯამში და ხელი მოვაწერეთ იმ შეთანხმებას, რომელიც წაადგება ჩვენი ქვეყნის განვითარებას.

ეს იყო გამარჯვება არა მარტო ჩვენი გუნდისთვის, „ქართული ოცნებისთვის“, არამედ ეს იყო გამარჯვება ჩვენი ქვეყნისთვის და ამ პროცესში სენატორ შაჰინს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა.

ჩვენ ხაზი გავუსვით მიშელის დოკუმენტის აღსრულებას, მათ შორის ხელმოწერის და შემდეგ აღსრულების მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით გავცვალეთ ინფორმაცია და გვქონდა საინტერესო დისკუსია.

შევეხეთ, რა თქმა უნდა, ამ დოკუმენტის ყველა ასპექტს – ეს იყო საარჩევნო რეფორმა, სასამართლო რეფორმა და ა.შ. გვქონდა დისკუსია ყველა ასპექტთან დაკავშირებით, გავაანალიზეთ ჩვენი გეგმები და იყო ინფორმაციების გაცვლა.

ჩვენ კონკრეტიკაზე არ გვისაუბრია, ჩვენ ვისაუბრეთ ზოგად საკითხებზე. ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ ჩვენს პარტნიორებს – ვუთხარით, რომ ორი კრიმინალი არის უკვე გათავისუფლებული, ვუთხარით, რომ ამნისტიის შესახებ კანონი დამტკიცდება ძალიან მალე და ვუთხარით ასევე ის, რომ იმუნიტეტთან დაკავშირებული რეგულაციებიც დამტკიცდება ძალიან მალე, შესაბამისად შეთანხმების ეს პუნქტი უკვე აღსრულებული იქნება თავიდან ბოლომდე ამ თვის ბოლომდე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჯინ შაჰინისა და რობ პორტმანის საქართველოში ვიზიტი აშშ-ის ძლიერი მხარდაჭერის სიგნალია“

სენატორების ჯინ შაჰინისა და რობ პორტმანის საქართველოში ვიზიტი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატების – ძლიერი მხარდაჭერის სიგნალია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოს ეკონომიკის აღდგენა.

„სენატორების ჯინ შაჰინისა და რობ პორტმანის საქართველოში ვიზიტი ატლანტის ოკეანის იქიდან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის – ამერიკის შეერთებული შტატების – ძლიერი მხარდაჭერის სიგნალია. სენატორებთან განვიხილეთ რეგიონში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელობა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოს ეკონომიკის აღდგენა“, – აღნიშნავს მთავრობის მეთაური.

გიგა მაქარაშვილს პოლიციელებმა ხელი მოსტეხეს

მოძრაობა „სირცხვილიას“ ერთ-ერთ აქტივისტ გიგა მაქარაშვილს დაკავებისას პოლიციამ ხელი მოსტეხა.

მაქარაშვილის თქმით, ის 30 წუთზე მეტხანს ითხოვდა ექიმს.

– ძვალი აღდგება, სისტემა არა, – განაცხადა მაქარაშვილმა.

დაკავება გენერალურ პროკურატურასთან აქციაზე დაპირისპირების დროს მოხდა.

3 ივნისს საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან უფლებადამცველები, პოლიტიკოსები და სამოქალაქო აქტივისტები ნინოწმინდის პანსიონატში არსებულ ვითარებას აპროტესტებდნენ.

დაპირისპირებისას ადმინისტრაციული წესით 6 პირი დააკავეს.

მოგვიანებით, დაკავებული აქტივისტები გიგა მაქარაშვილი და ნიკა ფარულავა ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.

ნჯამენა-პარიზის ბორტი დე გოლის აეროპორტში ავარიულად დაჯდა

3 ივნისს პარიზში დაჯდა თვითმფრინავი, რომელშიც, ანონიმური შეტყობინების თანახმად, ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო.

ერ ფრანსმა განაცხადა, რომ საფრთხის გამო მისი თვითმფრინავი, რომელიც ნჯამენა-პარიზის რეისს ასრულებდა, საფრანგეთის საჰაერო ძალების საბრძოლო თვითმფრინავის ესკორტით შარლ დე გოლის აეროპორტში სპეციალურ ლოკაციაზე დაჯდა.

თვითმფრინავიდან მგზავრთა ევაკუაცია განხორციელდა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ინციდენტზე გამოძიება დაიწყო.

„ნიკა მელია გაჰყვიროდა, მეორე ვარდების რევოლუცია უნდა მოვაწყოთო“

ადვოკატი: „მოწმეთა ეს ჩვენებები ქოფი-ფეისთით არის გაკეთებული“

ნიკა მელიას საქმის ადვოკატი გიორგი კონდახიშვილი სასაცილოსა და ღიმილის მომგვრელს უწოდებს პროკურატურის მოწმე ნათია ბერიძის ჩვენებას, რომელმაც 3 ივნისს ნიკა მელიას ბრალდების საქმეზე 20 ივნისთან დაკავშირებით, სასამართლოს მისცა.

გარდა ნათია ბერიძისა, სასამართლოს ამავე საქმეზე ჩვენება მისცა ორმა სამართალდამცავმა – გიორგი ქურდაძემ და ნიკოლოზ დემეტრაშვილმა. როგორც სხდომის დასრულების შემდეგ ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, სამივე მოწმემ სასამართლოს ერთი და იგივე ჩვენება მისცა, რაც ეჭვს ბადებს, რომ ბრალდების მხარის მითითებული პოზიციებით საუბრობდნენ.

ადვოკატის თქმით, მოწმე ნათია ბერიძე დაცვის მხარის მიმართ აშკარა აგრესიას გამოხატავდა, გაავრცელა არაერთი ცრუ ინფორმაცია, კონკრეტულად ადვოკატებთან მიმართებით.

– სამივე მოწმის ჩვენება „ქოფი-ფეისთით“ არის გაკეთებული. სასამართლოზე ორი პოლიციელი და ნათია ბერიძე იყვნენ მისული. ერთსა და იგივეს იმეორებდნენ, რომ ნიკა მელია გაჰყვიროდა მიტინგზე, მეორე ვარდების რევოლუცია უნდა მოვაწყოთო. თუმცა, ნათია ბერიძეს (20 ივნისის მიტინგზე) ყველაფერი აქვს გადაღებული და მაინც და მაინც, მის მიერ გადაღებულ ხუთ ვიდეოფაილში არ აღმოჩნდა ნიკა მელიას სიტყვები, როგორ აწყობენ „ვარდების რევოლუციას“. იმ ფირებში, ამის გარდა, ყველაფერია.

როდესაც ვკითხე, უწყვეტ ფირში რატომ არ აღმოჩნდა ის ფრაზა, რაზეც აპელირებთ, რომ ნიკა მელია გეგმავდა მეორე „ვარდების რევოლუციას“, მან ახსენა, რომ ამ დროს ნიკა მელია შორს იდგა, ეს ფრაზა კი ესმოდა, მაგრამ ტელეფონმა ვერ ჩაიწერა, რაც სასაცილო და ღიმილის მომგვრელია, – განაცხადა ადვოკატმა კონდახიშვილმა.

როგორც მოწმე ნათია ბერიძემ განმარტა, 2019 წლის 20 ივნისის აქციაზე ერთ-ერთ ონლაინ-მედიასაშუალებას წარმოადგენდა, ახლა კი ტელეკომპანია „პოს ტივის“ ჟურნალისტია. მისი თქმით, 20 ივნისს აქციაზე ნიკა მელიამ თქვა, შევიდეთ პარლამენტში, მეორე „ვარდების რევოლუცია“ მოვაწყოთო. ხელით ანიშნებდა ხალხს, წავედით, შევიდეთო“.

სხდომის შემდეგ კომენტარი პროკურორმაც გააკეთა.

– პროცესზე დაიკითხა ბრალდების მხარის სამი მოწმე. ერთი მათგანი არის ჟურნალისტი, რომელიც ჟურნალისტურ საქმიანობას ახორციელებდა უშუალოდ აქციის დროს, ორი მოწმე არის სამართალდამცავი, რომელიც წესრიგის დაცვის მიზნით იმყოფებოდა პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. მოწმეებმა აღნიშნეს, რომ უშუალოდ ნიკა მელიას ინიციატივა იყო ულტიმატუმების განსაზღვრა, იგი თავად იყო ჩართული ერთიან ძალადობრივ ქმედებებში როგორც ორგანიზატორი და მოუწოდებდა ხალხს, ძალადობრივი მეთოდებით გაერღვიათ პოლიციის კორდონი და დაეკავებინათ პარლამენტის შენობა.

მოწმეების ჩვენების ძალიან დიდი ნაწილი, მათ შორის ე.წ. თათბირი, რომელიც გაიმართა ნიკა მელიას მონაწილეობით, შემდგომში მისი ჟესტიკულაცია და მონაწილეობა ერთიან ქმედებებში დადასტურებულია ვიდეოჩანაწერებში, რომლებიც მოიპოვება სისხლის სამართლის საქმეში, – აღნიშნა ამირან გულუაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, პროცესზე დაცვის მხარეს ჰქონდა მცდელობა, რომ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ბრალდების მხარის წარმოდგენილი ერთ-ერთი მოწმის დისკრედიტირება მოეხდინა, თუმცა ის არგუმენტი რომელიც დაცვის მხარემ მოწმესთან დაკავშირებით დაასახელა, მოწმემ სრულიად უარყო და, გარდა ამისა, არც ადვოკატებს წარმოუდგენიათ რაიმე დოკუმენტი, რაც მათი კითხვების ლოგიკურობას დაასაბუთებდა.

თბილისში ლაშა სახეჩიძის დაჭრისთვის პოლიცია ბ.ღ.-ს ეძებს

21 წლის მოცეკვავე ლაშა სახეჩიძის დაჭრის თაობაზე შსს განცხადებას ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1994 წელს დაბადებულ, წარსულში ნასამართლევ ბ.ღ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბ.ღ.-მ მიმდინარე წლის 29 მაისს თბილისში, უზნაძის ქუჩაზე, „აფხაზეთის განათლების ცენტრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ცივი იარაღით სხეულზე ჭრილობები მიაყენა 1999 წელს დაბადებულ ლაშა სახეჩიძეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ღ.ს.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული პირის იდენტიფიცირება მალევე მოახდინეს და მიმდინარე წლის 31 მაისს ბ.ღ.-ს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინეს. 2 ივნისს კი, მოსამართლის განჩინებისა და პროკურორის დადგენილების საფუძველზე, ბ.ღ. ძებნილად გამოცხადდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

სუპერმარკეტის მოლარეს აგინა და სამეურნეო საგანი ესროლა

პოლიციამ გარდაბანში 1 პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი მ.ო. ძალადობისა და ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა გარდაბანში, ერთ-ერთი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მდებარე სუპერმარკეტის მოლარეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სამეურნეო საგანი ესროლა.

მ.ო.-მ ამავე ავტოგასამართი სადგურის ოპერატორს, რომელმაც მას სიმშვიდისკენ მოუწოდა და სიტუაციის განმუხტვა ცადა, ასევე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ძალადობისა და ხულიგნობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 239-ე მუხლებით მიმდინარეობს.

გიგი უგულავამ თავის საქმეში ამნისტიის კანონის გამოყენებაზე უარი თქვა

გიგი უგულავას საქმის პროკურორ ნათია გურულის ინფორმაციით, 3 ივნისის სასამართლო პროცესზე გიგი უგულავასთვის ამნისტიის კანონ-პროექტის გამოყენების შესახებ დაზარალებული ბადრი გავაშელიშვილის პოზიცია უნდა მოესმინათ, რაზეც უგულავამ უარი განაცხადა.

მისივე თქმით, მუხლზე, რომელიც უგულავას ბრალად ედება, ამნისტიის კანონპროექტი ვრცელდება და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, თუმცა ამისათვის ორივე მხარის თანხმობა იყო საჭირო.

– გიორგი უგულავას ბრალი დაედო, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედება, აღნიშნული ქმედებაზე ვრცელდება ამნისტია და ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან იმ შემთხვევაში, თუ, ერთი მხრივ, თანახმა იქნებოდა დაზარალებული და, მეორე მხრივ, ამაზე თანხმობას განაცხადებდა ბრალდებული. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა თავად განაცხადა უარი მის მიმართ ამნისტიის შესახებ კანონის გამოყენებაზე, ვერ მოხდა დაზარალებულის პოზიციის მოსმენა, – აღნიშნა ნათია გურულმა.

შემთხვევა თბილისის აეროპორტში 2019 წლის 11 დეკემბერს მოხდა. გიგი უგულავას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით აქვს წარდგენილი, რაც ძალადობას გულისხმობს. მას ძიუდოისტ ბადრი გავაშელიშვილის ცემას ედავებიან. გიგი უგულავასთან ერთად ბრალდებულია გავაშელიშვილის მეგობარი დავით პარკაძე, რომელსაც პოლიტიკოს გოკა გაბაშვილის ცემას ედავებიან.

„ნინოწმინდის პანსიონატში გვცემდნენ სახაზავებით, რეიტუზებით გვიკრავდნენ თვალებს“

შსს-მ გამოძიება დაიწყო

ნინოწმინდის პანსიონატის ყოფილი ბენეფიციარი „შაბათის ეთერის“ ჟურნალისტს ძალადობის შემზარავ ისტორიებს უყვება.

– გვცემდნენ ხის სახაზავებით, რეიტუზებით გვიკრავდნენ თვალებს, დაჩოქილი გვამყოფებდნენ სიმინდის მარცვლებზე, – აცხადებს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ყვება, რომ პანსიონატიდან გაქცევა 90-ჯერ ცადა.

მისი თქმით, ბოლო მცდელობისას მას აღმზრდელი დაეწია, ფეხის არეში ნემსი გაუკეთა, რის შემდეგაც მას 4 დღის განმავლობაში ეძინა.

– გვაკეთებინებდნენ მეტანიებს, 24 საათი გვაყენებდნენ ბრინჯზე, პურის მარცვლებზე. როცა არ გვეძინებოდა, ციცო გელაშვილი (სავარაუდოდ, აღმზრდელი) რეიტუზით გვიკრავდა თვალებს. ნახევარ საათში ჩამოგვხედავდა, თუ არ გვეძინა, მთელი დღის განმავლობაში უნდა გვკეთებოდა ეს რეიტუზი.

ბავშვთა სახლს ადრე ჰქონდა ზევით დენი გაყვანილი, როგორც ციხეში აქვთ. ის 4-მა ბავშვმა გადავჭერით. სამი გადავიდა ღობიდან, მეოთხე მე უნდა ვყოფილიყავი, თუმცა გამიკეთეს დამაძინებელი. 4 დღე მეძინა, – ყვება ახალგაზრდა, რომელმაც პანსიონი 5 წლის წინ დატოვა.

მისი თქმით, სჯიდნენ მაშინაც, როცა არაჰიგიენურად მომზადებული საკვების ჭამაზე უარს ამბობდნენ.

– ხორცი გაუტყავებელი იყო, ზედ ჰქონდა თმა, ამიტომ გადავასხი. პედაგოგმა კი 24 საათი მარცვალზე დაჩოქილი გამათენებინა. სრულიად უმიზეზოდ, როცა წამოუვლიდათ, გვეტყოდნენ – ადექით, ბუქნები გააკეთეთო. უნდა გაგეკეთებინა, თორემ გცემდნენ, – ამბობს ნინოწმინდის



ბენეფიციარი დავით დვალიშვილი, რომელმაც პანსიონატში 15 წელი გაატარა.

შსს-მ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატში აღსაზრდელების მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სხვადასხვა მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატში აღსაზრდელების მიმართ შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილით.

გამოძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას, რათა შესწავლილ იქნეს ძალადობის ყველა შესაძლო ფაქტი.

აქვე გვსურს, საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც აღსაზრდელების მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებს უკავშირდება.

2016 წლიდან დღემდე აღნიშნულ პანსიონატთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის 4 საქმეზე მიმდინარეობს.

გამოძიების დაწყების საფუძველი ორ შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატიდან შემოსული წერილი, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მომართვა გახდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე უზრუნველყო და განახორციელა საქმის გარემოების დადგენისათვის აუცილებელი ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარება. თითოეულ საქმეზე გამოკითხულია არაერთი მოწმე, ჩატარებულია ექსპერტიზა და სხვა მოქმედებები. თუმცა, ამ ეტაპზე საქმეში არ არის საკმარის მტკიცებულებათა ის სტანდარტი, რომლითაც დადგინდება შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე მუდმივ რეჟიმში აგრძელებს საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, რათა სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებულ იქნეს დანაშაულის ყველა შესაძლო ჩადენის ფაქტი“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

საკუთარ ქალიშვილს დანით 9 ჭრილობა მიაყენა

გ.ს.-ს 14 წელი მიუსაჯეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გენდერის ნიშნით შვილის მკვლელობის მცდელობისთვის ბრალდებული გ.ს. დამნაშავედ ცნო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2020 წლის 15 სექტემბერს თბილისში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გ.ს.-მ, გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით, ურთიერთშელაპარაკების დროს, იმ მიზეზით, რომ როგორც მამას და მამაკაცს, ქალზე უპირატესი უფლება ჰქონდა, გადაეწყვიტა, ვისთან იმეგობრებდა და როგორ იცხოვრებდა მისი შვილი ნ.ს., მოკვლის განზრახვით მას დანით ცხრა ჭრილობა მიაყენა.

გ.ს.-მ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, რადგან დაზარალებული წინააღმდეგობას უწევდა და გაქცევას ცდილობდა. ასევე მას დახმარება გაუწია იქვე მყოფმა პირმა და განარიდა იგი.

სამართალდამცველებმა გ.ს. 16 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 19,109-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ1“ და „ვ“ ქვეპუნქტებით (მკვლელობის მცდელობა, გენდერის ნიშნით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ს. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ირაკლი მუკბანიანს პატიმრობა შეეფარდა

გუმათში პოლიციელზე თავდასხმაში ბრალდებულ ირაკლი მუკბანიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო.

2 ივნისის სასამართლო პროცესზე დაცვის მხარე ითხოვდა, რომ დაკავებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების არც ერთი სახე არ გამოყენებულიყო, ამასთან, მათ სასამართლოს ალტერნატივის სახით 10.000-ლარიანი გირაოს გამოყენებაც შესთავაზეს.

მოსამართლემ ბრალდების მხარის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

სამართალდამცავებმა 29 წლის ირაკლი მუკბანიანი სოფელ საყულიაში 1 ივნისს დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, მუკბანიანი „ნამახვანჰესის“ მშენებლობის საწინააღმდეგო აქციაზე სამართალდამცავს თავს დაესხა. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით აქვს წარდგენილი.

შარლ მიშელმა ფაშინიანსა და ალიევს მოლაპარაკებების განახლებისკენ მოუწოდა

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ ნიკოლ ფაშინიანს ტელეფონით ესაუბრა.

შარლ მიშელმა ხაზი გაუსვა სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტაბილურობისა და კეთილდღეობის მნიშვნელობას ევროკავშირისთვის.

მისი თქმით, 2020 წლის 9 ნოემბრის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების სრულად განხორციელება აუცილებელია რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის. ევროკავშირი მზადაა, უზრუნველყოს ექსპერტიზა საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხებში და მხარი დაუჭიროს ნდობის აღდგენას.

ევროკავშირი მხარეებს მოუწოდებს, ითანამშრომლონ დაკავებულთა დაბრუნების, დანაღმული ტერიტორიებისა და სხვა მნიშვნელოვან ჰუმანიტარულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ გადაუდებელი გამოწვევების მოგვარება მხოლოდ პირველი ნაბიჯია მდგრადი მშვიდობიანი მოგვარებისკენ.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ორივე მხარეს მოუწოდა, განაახლონ კონსტრუქციული სულისკვეთების მოლაპარაკებები. ევროკავშირი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის რეგიონის, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის განუყოფელი ნაწილის, უსაფრთხოებით, სტაბილურობითა და კეთილდღეობით.

„ხალხი ქუჩაში ჯამი წვნიანისთვის გამოვა“

ბელარუსმა პროტასევიჩის დაკითხვის ვიდეოჩანაწერი გაავრცელა

ბელარუსის მედიამ დაკავებული ჟურნალისტის, რომან პროტასევიჩის, დაკითხვის ნაწილის ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, სადაც ის აცხადებს, რომ ოპოზიციის მოწოდებებს ქუჩის საპროტესტო აქციების გამართვასთან დაკავშირებით აზრი არ აქვს.

– ახლა ასეთი აქტივობა შეუძლებელია. როდესაც ვილნიუსში ვიყავი, ღიად ვთქვი, რომ ქუჩის პროტესტები საჭირო არ არის. ჩვენ, სულ მცირე, უნდა დაველოდოთ ეკონომიკური ვითარების გამწვავებას, როდესაც ხალხი ქუჩაში ერთი ჯამი წვნიანისთვის გამოვა, – ამბობს პროტასევიჩი ვიდეოჩანაწერში.

დაკითხვის ჩანაწერი რომან პროტასევიჩის დაკავებიდან მეორედ გავრცელდა. პირველ ჩანაწერში პროტასევიჩი აცხადებს, რომ სამართალდამცავები მას მაქსიმალურად კორექტულად და კანონიერად ექცევიან. ამასთან, ჟურნალისტის განცხადებით, ის თანამშრომლობს გამოძიებასთან და აძლევს აღიარებით ჩვენებას მინსკში მასობრივი არეულობების ორგანიზებასთან დაკავშირებით.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა პროტასევიჩთან ერთად დაკავებული მისი მეგობარი გოგონას, სოფია საპეგას, აღიარებითი ჩვენების ვიდეოჩანაწერიც.

ბელარუსი იყენებს, სავარაუდოდ, იძულებით მოპოვებულ აღიარებების ვიდეოს დაკავებების გასამართლებლად და ოპოზიციის მხარდამჭერი დემონსტრაციების შეჩერების მცდელობისთვის.

შეგახსენებთ, 23 მაისს, ბელარუსის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თვითმფრინავი, რომელიც ათენი-ვილნიუსის რეისს ასრულებდა, მინსკში იძულებით დასვეს და ბორტზე მყოფი ჟურნალისტი რომან პროტასევიჩი და მისი მეგობარი გოგონა დააკავეს.

დასავლეთის ქვეყნებმა ინციდენტი დაგმეს.

ევროკავშირის ბევრმა ქვეყანამ ბელარუსულ ავიაკომპანია „ბელავიას“ საჰაერო სივრცის გამოყენებაზე შეზღუდვები დაუწესა.

იტალიაში 12 წელზე უფროსი ბავშვების ვაქცინაცია დაიწყო

იტალიაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით 12 წლის ზემოთ ასაკის ბავშვების ვაქცინაცია დაიწყო.

– ჩვენ შეგვიძლია, დავაჩქაროთ ჩვენი ვაქცინაციის კამპანია ამ რთული სეზონის გასავლელად, – განაცხადა იტალიის ჯანდაცვის მინისტრმა რობერტ სპერანზამ.

ევროპის მედიკამენტების სააგენტომ ფაიზერ/ბიონტექის ვაქცინის 12-15 წლის ასაკის ბავშვებში გამოყენება გასულ კვირაში დაამტკიცა.

იტალიის ვაქცინაციის პროგრამა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დაჩქარდა. ამ დროისთვის გამოყენებულია ვაქცინების 35 მილიონ დოზაზე მეტი.

სრულად ვაქცინირებულია 12.4 მილიონი ადამიანი, რაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 23%-ს შეადგენს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალს ლატარიის ორგანიზატორები თაღლითები ეგონა და კინაღამ მოგებას დაემშვიდობა

ავსტრალიელი ქალბატონი კინაღამ მსხვილი მოგების გარეშე დარჩა, ვინაიდან ახლად გამოღვიძებულს ლატარიის გათამაშების ორგანიზატორები, რომლებმაც მას დაურეკეს, თაღლითები ეგონა და ტელეფონის ყურმილი დაკიდა.

აღნიშნული ზარის შემდეგ ქალმა თავადვე შეამოწმა საკუთარი ლატარიის ბილეთი და აღმოაჩინა, რომ მან მართლაც 852 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო. ამის შემდეგ მას თავად მოუხდა ლატარიის ორგანიზატორებთან დარეკვა და ბოდიშის მოხდა.

მოგების შემდეგ ქალს იმედი აქვს, რომ ადრე გავა პენსიაზე, ასევე ახალ საოჯახო ნივთებს და სამკაულებს შეიძენს.

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, პლევრიტის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

ფეხმძიმე ქალმა სამი ბავშვი დახრჩობას გადაარჩინა

ამერიკის მიჩიგანის შტატის მკვიდრმა ფეხმძიმე ქალმა ტბაში დახრჩობას სამი ბავშვი გადაარჩინა.

ხუთი თვის ფეხმძიმე ალისა დეუიტი პლაჟზე თავის შვილებთან ერთად ისვენებდა. ამ დროს მან შენიშნა, რომ წყლიდან ვიღაც ხელებს იქნევდა.

ქალმა ბავშვები აიძულა მაშინვე ამოსულიყვნენ წყლიდან და ნავმისადგომისკენ გაიქცა.

– ბავშვების ჯგუფი, რომლებიც ტბაში ბანაობდნენ, ნავმისადგომის კედელს ეხლებოდნენ. ისინი წყლის ზედაპირზე თავის შემაგრებას ძლივს ახერხებდნენ და პრაქტიკულად ჩემ თვალწინ იხრჩობოდნენ. პლაჟზე არავინ იყო ისეთი, ვისაც დახმარების თხოვნით მივმართავდი, – დაწერა ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე.

დეუიტმა მაშველები გამოიძახა, მაგრამ ძლიერი ქარის გამო ტელეფონში დისპეტჩერის პასუხი თითქმის არ ისმოდა.

– მაშინ ადრენალინის მოზღვავება ვიგრძენი და ეს ნაბიჯი გადავდგი, არ ვიცი როგორ, მაგრამ მე ეს გავაკეთე, – ხაზგასმით აღნიშნა ქალმა.

დეუიტი ნავმისადგომიდან გადაეკიდა, ხელები გაიწოდა და სამივე ბავშვი წყლიდან ამოიყვანა. იმ დროისთვის, როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ, ბავშვები უკვე უსაფრთხოდ იყვნენ. მომხდარის შემდეგ ფეხმძიმე ქალი სამედიცინო გამოკვლევაზე გადაიყვანეს. ექიმების თქმით, დეუიტიც და მისი ნაყოფიც სრულ წესრიგში იმყოფებიან.

შვიდი წლის ბიჭმა დისა და მამის გადასარჩენად კილომეტრ-ნახევარი გაცურა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ჯექსონვილის მკვიდრმა შვიდი წლის ბიჭმა ნაპირამდე კილომეტრ-ნახევარი გაცურა იმისთვის, რომ და და მამა დახრჩობას გადაერჩინა.

შვიდი წლის ჩეიზ პუსტი, მისი ოთხი წლის და ებიგეილი და მათი მამა სათევზაოდ იმყოფებოდნენ. სანამ ნავი ღუზაზე იდგა, ჩეიზმა და ებიგეილმა გადაწყვიტეს, ეცურავათ.

– დინება იმდენად ძლიერი იყო, რომ დამ, რომელიც ჩვეულებრივ ნავის გვერდს ხელს არ უშვებს, თავი ვერ შეიმაგრა და ხელი გაუშვა, – განაცხადა ჩეიზმა. ბავშვების მამა, სტივენი, ქალიშვილის დასახმარებლად მაშინვე წყალში გადაეშვა. მართალია, ებიგეილს სამაშველო ჟილეტი ეცვა, მაგრამ ის დინებამ გაიტაცა.

– მე მათ ვუთხარი, რომ ისინი მიყვარდა, ვინაიდან არ ვიცოდი, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. მე მის შემაგრებას ვცდილობდი, მაგრამ უკვე ძალა მეცლებოდა, – ყვება სტივენი. დინება იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაკაცმა ნავი დაბრუნება ვეღარ მოახერხა.

სანამ მამა ქალიშვილის შეკავებას ცდილობდა, ჩეიზმა ნაპირისკენ გაცურა. ის დაახლოებით ერთი საათი მიცურავდა, დროდადრო დასასვენებლად ზურგზე წვებოდა. ბოლოს და ბოლოს, მან ნაპირამდე მიაღწია და უახლოეს სახლთან მიირბინა. ადგილობრივებმა ექსტრემალურ სამსახურში დარეკეს. მაშველებმა ებიგეილსა და მამამისს სწრაფად მიაგნეს და ნაპირზე გამოიყვანეს.

მამაკაცმა იმავე დღეს გარდაცვლილი საცოლის დაზე იქორწინა

ინდოეთის უტარ-პრადეში შტატის ეტავახის ოლქში პატარძალი მოულოდნელად ქორწილის დღეს გარდაიცვალა და სასიძომ იმავე დღეს მის უმცროს დაზე იქორწინა.

სოფელ ნაულის მკვიდრ მანგეშ კუმარისა და სოფელ სამასპურის მცხოვრებ სურბხის ქორწილი 27 მაისს უნდა გამართულიყო. დათქმულ დღეს სიძე ნათესავებთან ერთად პატარძლის სახლში მივიდა, სადაც საქორწინო ცერემონიისთვის ბოლო მზადება მიმდინარეობდა.

მოულოდნელად სურბხიმ დაიჩივლა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა და გონება დაკარგა. გოგონა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მხოლოდ მისი გულის შეტევისგან გარდაცვალება დააფიქსირეს.

ამ ფაქტიდან მალევე გარდაცვლილის საქმრომ მის მშობლებს მათი უმცროსი ქალიშვილის, ნიშის ხელი სთხოვა და მათ თანხმობა განუცხადეს. ქორწილი მაშინვე გადაიხადეს, ხოლო სურბხის ცხედარი მეორე ოთახში ესვენა.

26 წლის ამერიკელმა საქორწინო ბეჭდისთვის ოქრო და ალმასი თვითონ მოიპოვა

26 წლის ამერიკელმა ხუთი წელი მოანდომა თვითნაკეთი საქორწინო ბეჭდისთვის ოქროს მოპოვებას, ასევე იპოვა ალმასი მისთვის და ახლა საპატარძლოს ძებნას შეუდგა.

კრისტიან ლიდენი ხუთი წლის განმავლობაში მშობლიურ ვაშინგტონის შტატში ოქროს მოპოვებით იყო დაკავებული, იმისთვის, რომ შემდეგ მომავალი პატარძლისთვის უნიკალური ბეჭედი დაემზადებინა. მამაკაცი სკოლაში სწავლის დროიდან ოცნებობდა სხვის დაუხმარებლად მოეპოვებინა ბეჭდისთვის აუცილებელი ყველა მასალა, თუმცა ნამდვილად არ მოელოდა, რომ მსხვილ, 2,2 კარატიან ალმასსაც იპოვიდა.

ძვირფას ქვას ამერიკელმა არკანზასის შტატში „ალმასების კრატერი“ სახელმწიფო პარკში მიაგნო, სადაც მან მეგობართან ერთად ქვეყანაში მოგზაურობის ფარგლებში შეიარა. მოზრდილი ქვა გადავაბრუნე და მის ქვეშ რაღაც ბრჭყვიალა შევნიშნე. ისე ავღელდი, ისე ამაკანკალა, რომ მეგობარს ვთხოვე, რომ მას ამოეღო ძვირფასი ქვა ქვა-ღორღიდან, – განაცხადა ლიდენმა.

პარკის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ კრისტიანმა ნამდვილად დიდი ყვითელი ალმასი იპოვა.

ლიდენმა ასევე აღიარა, რომ მას რამდენიმე პატარა ალმასის პოვნის იმედი ჰქონდა, ხოლო ბეჭდისთვის მთავარი ბრილიანტის ყიდვას იუველირთან აპირებდა. თუმცა ახლა უკვე ეს საჭირო აღარაა. ახლა მას საქორწინო ბეჭდის დამზადება და საპატარძლოს პოვნაღა დარჩენია.

ალიგატორმა ზვიგენის კბილების შემგროვებელი მყვინთავი დაკბინა

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ტამპას მცხოვრებ მამაკაცს, რომელიც ზვიგენის კბილების შეგროვებითაა დაკავებული, თავს ალიგატორი დაესხა. კვირას, 29 მაისს, ჯეფრი ჰეიმი ალიგატორს იმ დროს გადაეყარა, როდესაც ზვიგენის კბილების შესაგროვებლად ფლორიდის შტატის ქალაქ ვენეციის სანაპიროსთან მდინარე მიაკაში ყვინთავდა. რეპტილია მამაკაცს თავს წყალში შესვლიდან რამდენიმე წამში დაესხა. ალიგატორმა მყვინთავს თავსა და ხელზე უკბინა. შედეგად კაცმა თავის ქალის დაზიანება მიიღო.

– მეგონა, რომ ნავის პროპელერი დამეჯახა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს საათში 80 კილომეტრი სიჩქარით მცურავი ნავი დამეჯახა. მას კიდევ სადმე რომ ეკბინა ჩემთვის, ბოლოს მომიღებდა, – განაცხადა ჯეფრი ჰეიმმა.

ექიმებმა მყვინთავს 34 ნაკერი დაადეს. მის მკურნალობას რამდენიმე კვირა დასჭირდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადება

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 20 ივნისს, დილის 11.00 საათზე, ქ.თბილისში, მეტრო „ღრმაღელესთან“, მე-19ა კორპუსთან მდებარე ფეხბურთის სტადიონზე ტარდება ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის თავმჯდომარის არჩევა;
2. ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ის გამგეობის არჩევა;
3. ამხანაგობაში არსებული მიმდინარე საკითხების განხილვა.

ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა.
გთხოვთ, იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ნავსი გაჭყდა — საქართველომ რუმინეთი დაამარცხა

ხუმინეთი-საქართველო 1:2

პლოიეშტი. ილიე ოანა

0:1 მიქაუტაძე (61), 0:2 აბურჯანია (72), 1:2 ივანი (78)

65-ე წუთზე მარინმა ვერ გაიტანა პენალტი (ააცილა)

რუმინეთი: ვლადი, ნედელჩარუ, კირიკეში, განე, სორესკუ, მარინი (სტანჩიუ 77), ჰაჯი (კეშერუ 77), მაქსიმი (ბუდესკუ 57), ოლარუ (ჩიკლდაუ 57), ტანასე, ალიბეკი

საქართველო: კუპატაძე, ჩაბრაძე, კვერკველია, ხოჭოლავა, აზაროვი, დაუშვილი, აბურჯანია (გვილია 80), კვეკვესკირი (კიტეიშვილი 57), შენგელია (ლობჟანიძე 57), ოქრიაშვილი (კაშია 66), მიქაუტაძე (ზივზივაძე 80)

გაძევება: ტანასე (42), კვერკველია (64)

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ვილი სანიოლის ხელმძღვანელობით პირველი მატჩი მოიგო, ამასთან, რუმინეთის ნაკრებთან ნავსი გატეხა და მერვე ცდაზე პირველი გამარჯვება მოიპოვა – 2:1.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ნათქვამი ჰქონდა, რომ ამხანაგურ მატჩებს ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად გამოიყენებდა. ასეც მოხდა – სანიოლმა რუმინელებთან თითქმის მეორე შემადგენლობა ათამაშა.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენმა ნაკრებმა იდეალურად ითამაშა. მეტიც, უფრო ცუდად, ვიდრე – კარგად, მაგრამ მოიგო.

სანიოლმა კარი ბათუმის დინამოელ ლაზარე კუპატაძეს ანდო. დებიუტანტმა ორ მომენტში გუნდი კი გადაარჩინა, მაგრამ ხარვეზები ჰქონდა. განსაკუთრებით ფლანგებიდან ჩაწოდებების დროს საჯარიმოს კარგად ვერ აკონტროლებდა.

ფლანგის მცველებად ასევე ბათუმელები – გრიგოლ ჩაბრაძე და ირაკლი აზაროვი ეყენა. ჩაბრაძემ მანამდეც ითამაშა ეროვნულ გუნდში, აზაროვი კი დებიუტანტი იყო. ორივე საგოლე შეტევა მათი წამოწყებულია, მაგრამ დაცვაში ხშირად იკარგებოდნენ, რის გამოც დიდი ჯაფა ადგებოდათ ცენტრალურ მცველებს.

იქ კი საბა კვირკველიასა და დავით ხოჭოლავას დუეტი იდგა. კვირკველიას აშკარად აკლია პრაქტიკა, წონაშიც მომატებულია, რამდენიმეჯერ პოზიციურადაც შეცდა და დაზღვევაზე გადასვლაც ვერ მოასწრო. 64-ე წუთზე პენალტიც „აიკიდა“ და წითელი ბარათიც მიიღო. ხოჭოლავა უკეთესად იდგა და მცველების გაფუჭებულ საქმეს აკონტროლებდა, მაგრამ ყველაფერს ვერ ასწრებდა, რის გამოც ხარვეზები ჰქონდა.

დაუშვილი-აბურჯანია-კვეკვესკირის სამეული ცენტრში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი იყო მატჩში. დიდი ალბათობით, ეს სამეული სხვა მატჩებში „დაიშლება“ და სანიოლი უკეთეს ვარიანტს მიაგნებს.

მარცხნიდან თორნიკე ოქრიაშვილი უტევდა, რომელიც ჯაბა კანკავასა და გურამ კაშიას არყოფნაში გუნდს კაპიტნობდა, მარჯვნიდან – ლევან შენგელია. უნდა ითქვას, რომ ორივე ჩაკარგული იყო, განსაკუთრებით, შენგელია და თავი დიდად ვერაფრით დაგვამახსოვრეს.

თავდამსხმელად გიორგი მიქაუტაძე იდგა. მისი ნახვა ისედაც გვინდოდა, რადგან ახალი მიღებული აქვს საქართველოს პასპორტი და აქამდე საქმეში მხოლოდ 10 წუთით გამოჩნდა. მიქაუტაძემ ის, რასაც ბელგიის მეორე დივიზიონში აკეთებდა, ნაკრებშიც გადაიტანა და გოლიც თავდამსხმელის შესაფერისი გაიტანა. ამ ეტაპზე მიქაუტაძე თავდასხმაში უკონკურენტო ჩანს.

შეცვლაზე შესული ფეხბურთელებიდან ოთარ კიტეიშვილსა და საბა ლობჟანიძეს გამოვყოფთ. ორივე მათგანმა ბევრად უკეთესად ითამაშა, ვიდრე მათმა წინამორბედებმა მოედანზე.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საგოლე მომენტები ორივე გუნდის კართან შეიქმნა. პირველი ნახევარი გატანილი გოლების გარეშე 0:0 დასრულდა, 42-ე წუთზე კი არასპორტული თამაშისთვის არბიტრმა რუმინელთა ნახევარმცველი ფლორინ ტანასე გააძევა.

ანგარიში მე-2 ტაიმში საქართველოს ნაკრებმა გახსნა, შეცვლაზე შესული ოთარ კიტეიშვილის გადაცემით გიორგი მიქაუტაძემ ისარგებლა და ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო გოლი გაიტანა. აღნიშნული მომენტიდან სამ წუთში მასპინძლებმა კონტრშეტევით ისარგებლეს. ანდრეი ივანის წაქცევისთვის მატჩის არბიტრმა საქართველოს ნაკრების კარში პენალტი დანიშნა და მეორე ყვითელი ბარათის გამო სოლომონ კვერკველიას წითელი ბარათი უჩვენა. რაზვან მარინმა 11-მეტრიანი არაზუსტად შეასრულა და ანგარიში არ შეცვლილა – 0:1.

ვილი სანიოლის გუნდმა მე-2 გოლი 72-ე წუთზე გაიტანა, გიორგი აბურჯანიამ საბა ლობჟანიძის პასით ისარგებლა და საკუთარი გუნდის სწრაფი იერიში შედეგიანი დარტყმით დასრულა. მიქაუტაძის მსგავსად, აღნიშნული გოლი ეროვნული ნაკრების მაისურით გიორგი აბურჯანიასთვისაც სადებიუტო იყო.

დარჩენილ დროში ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და საქართველოს ნაკრები ძირითადად კონტრშეტევებზე მოქმედებდა. საბოლოო შედეგი 78-ე წუთზე დაფიქსირდა. გოლი ივანის ანგარიშზეა.

ვილი სანიოლი:

– რუმინეთის დამარცხება ძალიან რთული იყო. პირველი მატჩი მოვიგეთ, თუმცა ვთვლი, რომ წელს ყველაზე ცუდად ვითამაშეთ. გარკვეულ მომენტებში კონცენტრაციის ნაკლებობა გვქონდა. გაგვიმართლა, რომ მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს და უპირატესობის მოპოვება ამ მომენტში მოვახერხეთ. პირველი ტაიმით უკმაყოფილო ვარ. შეიძლება, ძალიან ბევრს ვითხოვ, რადგან ივნისში თამაში ფეხბურთელებისთვის ადვილი არაა, თუმცა მჯერა, რომ უფრო მეტი შეგვიძლია.

არ ვფიქრობ, რომ რუმინეთმა სუსტად ითამაშა. მათ მატჩი კარგად დაიწყეს, თუმცა წითელი ბარათის შემდეგ თამაში რთულია. ამ გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი თამაშობს. ფეხბურთში საუკეთესო გუნდი ყოველთვის ვერ იგებს. შესაძლოა, დღეს ფრე ლოგიკური შედეგი ყოფილიყო.

რუმინეთის თამაშის განხილვისას დავინახეთ, რომ ამ გუნდს ყველაზე მეტი პრობლემა ბურთის კონტროლისას ექმნებოდა. მათ კონტრშეტევების გაკონტროლება უჭირდათ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, არ ვთვლი, რომ დღეს რუმინეთმა ცუდად ითამაშა. ეს გუნდი რამდენიმე დღეში ინგლისს დაუპირისპირდება და წარმატებას ვუსურვებ ამ შეხვედრაში.

მირელ რადოი:

– ფეხბურთელებს ვერაფერში დავადანაშაულებ, ბოლომდე იბრძოლეს, მაგრამ ამდენი შესაძლებლობის გამოუყენებლობა დაუშვებელია. მოგება გვჭირდებოდა, მაგრამ დაუმსახურებლად წავაგეთ. ეს არ ამართლებს ჩვენს შეცდომებს. მეტოქეს ბევრ სივრცეს ვუტოვებდით და ბევრ შეცდომას ვუშვებდით. მათ კი სწრაფი ფეხბურთელები ჰყავთ. ვთქვი, რომ მეტოქეზე მეტი გოლის გატანა მსურდა. ვნახოთ, შევძლებთ თუ არა ამას მომავალში. იმ შესაძლებლობებით, რომლებიც გვქონდა, შეგვეძლო, ანგარიში 3:2 გაგვეხადა და გაშვებულ გოლებს მნიშვნელობა აღარ ექნებოდა.

შედეგები

2 ივნისი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ბელარუსი-აზერბაიჯანი	1:2
ბოსნია-ჩერნოგორია	0:0
ნორვეგია-ლუქსემბურგი	1:0
ნიდერლანდები-შოტლანდია	2:2
რუმინეთი-საქართველო	1:2
ინგლისი-ავსტრია	1:0
გერმანია-დანია	1:1
საფრანგეთი-უელსი	3:0

ესპანეთი.

სეგუნდა დივიზიონი

ფლეი ოფი

ხირონა-ალმერია	3:0

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია: „დროა, ლიპარტელიანი მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს“

ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანია ქართველ სპორტსმენთა შორის. 10 მედალი (აქედან 3 ოქროს) ევროპის ჩემპიონატებზე აქვს მოპოვებული, 5 – მსოფლიოზე და ერთიც – ოლიმპიურ თამაშებზე. თუმცა, ევროპირველობის გარდა, ოქროს ვერსად შესწვდა და ამ ყველაფერს წელს უმიზნებს.

წელს კი, ოლიმპიური თამაშების მსგავსად, მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართება. ეს 6-13 ივნისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მოხდება.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანს სტატია მიუძღვნა და თავის წონაში ოქროს მედლის უმთავრეს კანდიდატად მოიხსენია.

– ვარლამ ლიპარტელიანი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების თილისმა და კაპიტანია. ის 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში პირველი ნომერი და ქვეყნის სიამაყეა. ეს ძალიან რთული მისაღწევია საქართველოში, სადაც ძიუდოს დიდი გავლენა და წარმატებები აქვს, არადა, ქვეყანაში მხოლოდ 4 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ყველაფრის გათვალისწინებით, ნამდვილად სამართლიანი იქნება, თუკი მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიპარტელიანი, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებს ოქროს მედალს იმ ფონზე, როდესაც უკვე აქვს 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაო.

ლიპარტელიანი წლებია, უმაღლეს დონეზე ასპარეზობს და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ძიუდოისტია. მსოფლიოს პირველობაზე წონაში პირველი განთესვით გამოვა და, თუკი წილისყრამდე არაფერი შეიცვალა, საკმაოდ კარგი ბადე უნდა ჰქონდეს, რაც მის შანსებს ზრდის.

შესაძლოა, ლიპარტელიანი პირველად შეხვდეს კარიერაში კანადელ შედი ელნაჰასს, ასევე დაუპირისპირდეს აზერბაიჯანელ ელმარ გასიმოვსა (4:0 ბალანსი) და ფრანგ ალექსანდერ იდირს (7:2). ბადის ქვედა ნაწილში განთესილთაგან ნიდერლანდელი მიკაელ კორელი (3:2), მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, პორტუგალიელი ჟორჟე ფონსეკა (0:3), რუსი არმან ადამიანი (2:1) და ეგვიპტელი რამადან დარვიში (1:0) უნდა გამოვარჩიოთ.

რამდენიმე ძიუდოისტი ყურადღებას განუთესავთაგანაც იქცევს, პირველ რიგში – ბელგიელი ტომა ნიკიფოროვი, რომელთანაც ლიპარტელიანმა მიმდინარე წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი წააგო. სიურპრიზებს უნდა ველოდეთ ნიდერლანდელ სიმეონ კატარინასგან, რომელთანაც ვარლამი 3 წლის წინ დამარცხდა, იაპონელ იდა კენტაროსთან (0:3) კი ქართველ ძიუდოისტს არ მოუგია.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ლიპარტელიანის გარდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე მამაკაცთა შორის იჭიდავებენ: თემურ ნოზაძე (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (ორივე 73), ტატო გრიგალაშვილი, ლუკა მაისურაძე (ორივე 81), ბექა ღვინიაშვილი (90), ვარლამ ლიპარტელიანი (100), გელა ზაალიშვილი (+100), ხოლო ქალთა შორის გამოვლენ – ტატიანა ლევიცკაშუკვანი, მარიამ ჯანაშვილი (ორივე 52), ეთერ ლიპარტელიანი (57), მარიამ ჭანტურია (70), სოფიო სომხიშვილი (+78).

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სახელდახელოდ შეთხზული ლექსი; 2. დიდად განსწავლული, მრავალმხრივი ცოდნის მქონე ადამიანი; 3. გვარი, ჯიში, მოდგმა; 4. ალალბედზე მოქმედება; 5. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 12. ინფექციური დაავადების გამავრცელებელი ჩხირისებრი ბაქტერია; 14. წარწერა საბანკო ჩეკზე სხვა პირისთვის მისი გადაცემის შესახებ; 16. ძველებური სახელურიანი სათვალე; 17. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 19. რაიმეს დამზადების წესი; 21. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 22. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია.

თარაზულად: 6. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 7. ჭაობის ნაპირებთან ბინადარი დიდი ბუ; 8. შოკოლადის ხე; 9. მიწის თხილი; 10. პარკებში, ბაღებში არსებული ხელოვნური გამოქვაბული; 13. მუშაობის ხანგრძლივობა რაიმე საქმეში; 15. საერთო სახალხო რეფერენდუმი; 18. ძველებური ქართული ქალ-ვაჟის ცეკვა; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 21. დაღესტნელთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 23. ქველმოქმედი, კაცთმოყვარე ადამიანი; 24. რომის იმპერატორთა ტიტული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წულა; 2. ბენცი; 3. აღაზა; 4. სქური; 5. ოდეონი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. რეჰანი; 16. სამბა.

თარაზულად: 1. წურბელა; 4. სქოლიოზი; 7. ღვინო; 9. განგი; 12. ბიკილა; 13. ციცქა; 14. შანიძე; 17. ხახული; 18. პროკლამაცია; 19. ხითხითი; 20. ნაგაზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კურკიაზიე; 2. ყაზბეგი; 3. სენატი; 4. დვირი; 5. ელინგი; 11. ტუნიკა; 12. ტრიერი; 14. ვალი; 16. ორაკული; 17. მარკესი; 19. ბაზალტი; 21. ჩანგი; 22. წყალი.

თარაზულად: 6. აუტოდაფე; 7. შავთელი; 8. რიონი; 9. მუხაძე; 10. ტორტი; 13. ნიყვი; 15. ვოლტიჟიორი; 18. ზაგრები; 20. აკრი; 21. ჩაჟაში; 23. ციცინათელა; 24. სვინგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2228	ევრო — 3.9238
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5558	100 რუსული რუბლი — 4.3848

ამინდის პროგნოზი 4 ივნისისათვის

ინტერის მთავარი მწვრთნელი სიმონე ინძაგი იქნება

მილანის ინტერის ახალი მწვრთნელი სიმონე ინძაგი იქნება, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ლაციო დატოვა და ამის მიზეზი სწორედ ინტერი იყო.

როგორც იცით, ინტერმა კონტე გაუშვა, რადგან ანტონიოს ახალი კონტრაქტის პირობები არ აკმაყოფილებდა და, როგორც ჩანს, ინძაგი შეთავაზებულ პირობებზე ყაბულს არის.

ინძაგიმ განაცხადა, რომ ის მოუთმენლად ელის მუშაობის დაწყებას.

კუმანი ბარსელონაში რჩება

ბარსელონაში, დიდი ალბათობით, მწვრთნელი არ შეიცვლება და კუმანი მინიმუმ ერთი სეზონი ისევ კატალონიურ გუნდში იმუშავებს. ამის შესახებ ინფორმაცია კატალონიურ პრესაში ვრცელდება.

კუმანს ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებია, თუმცა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას სურს ბარსელონაში მუშაობის გაგრძელება.

ქვილითაია კარიერას აპოელში გააგრძელებს

გიორგი ქვილითაიას მომავალი გუნდი ცნობილია და ის კარიერას კვიპროსის აპოელში გააგრძელებს, სადაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ექნება.

ქვილითაია 27 წლის არის და ბოლო წლებში მისმა კარიერამ ვერ განიცადა ისეთი პროგრესი, როგორსაც მისგან ელოდნენ. მიუხედავად ამისა, გიორგის ჯერ კიდევ აქვს იმის დრო, რომ ეს გამოასწოროს.

ქვილითაიას წინა გუნდი ბელგიური გენტი იყო, სადაც ის 2018 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზი გია ყანჩელის სახელობის ბაღში გაიხსნა

ე.წ. არტოს ბაღში, რომელიც ახლა კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელობისაა, ახლადრეაბილიტირებულ შენობაში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზი გაიხსნა.

ანსამბლების „რუსთავისა“ და „მართვეს“ წევრებმა მიწვეული სტუმრებისთვის მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს. დარბაზში შესვლამდე ღია სივრცეში „მართვეს“ აღსაზრდელების შემოქმედება იქნა წარმოდგენილი, ხოლო დარბაზში მაყურებლისთვის ანსამბლ „რუსთავის“ მომღერლებმა და მოცეკვავეებმა საკონცერტო პროგრამა წარადგინეს.

საღამოს ზურაბ ყიფშიძე და ნინელი ჭანკვეტაძე უძღვებოდნენ. მათ ანზორ ერქომაიშვილის მიერ დანატოვარი ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ისაუბრეს.

საკონცერტო დარბაზის პრეზენტაციას ანზორ ერქომაიშვილის ოჯახის წევრები და მეუღლე, ქალბატონი ღალი სეთურიძე დაესწრნენ, რომელმაც ორგანიზატორებსა და საპატიო სტუმრებს დაფასებისთვის მადლობა გადაუხადა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის წევრები ესწრებოდნენ.

ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო „არტოს ბაღის“ ისტორიის ამსახველი ფოტოგამოფენა.

ასტროპროგნოზი

4 ივნისისათვის

ვერძი – კრიტიკული დღეა. აქტიურობა არასასურველია. ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კუჭრო** – საღი აზრი შეინარჩუნეთ. ახლობლებისა და მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ტყუპები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. საღამოს აქტიური დასვენება გარგებთ. **კირჩხიბი** – ახალი ადგილების მონახულება, მივლინებები რეკომენდებულია. უამრავ დადებით ემოციას მიიღებთ. **ლომი** – ნებისმიერი მოვალეობა გულმოდგინედ შეასრულეთ. პასუხისმგებლობას ნუ გაექცევით. **ქალწული** – უხეშობას უხეშობითვე არ უპასუხოთ. მოითმინეთ და ყველა გამოწვევას მშვიდად შეხვდით. საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ. **სასწორი** – ეჭვიანობა და ემოციების აყოლა წყობიდან გამოგიყვანთ. სიტუაცია კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – წარმატებას დიდწილად ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა განაპირობებს. საკუთარ თავზე დიდ წარმოდგენას ნუ შეიქმნით. **მშვილდოსანი** – ემოციები აკონტროლეთ. საღამო ყოველმხრივ კეთილისმყოფელი იქნება. **თხის რქა** – ერიდეთ ხანგრძლივად ქუჩაში ყოფნასა და ხალხმრავალ ადგილებს. შემოიფარგლეთ ახლო მეგობრებთან ურთიერთობით. **მერწყული** – მიენდეთ ინტუიციას. იღბლიანი დღეა საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან კონტაქტისათვის. **თევზები** – მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი ხარჯები. ფინანსური ოპერაციებისაგან დროებით თავი შეიკავეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ქმარმა ცოლს საყვარელთან მიუსწრო და სახეში მუშტი უთავაზა. ცოლმა დაუძახა:

– მასე უნდა მაგას! აქ არ ცხოვრობს და მაინც აქ დაეთრევა!

ამ დროს საყვარელი წამოდგა და ქმარს მუშტი უთავაზა. ქალი:

– მასე უნდა მაგას! თვითონ არ შეუძლია და სხვასაც ხელს უშლის!

●●●

ორი ნაცნობი ზის მაგიდასთან და ერთი მეორეს ეკითხება:

– ხომ არ იცი, ყველანი ჯინს რატომ მეძახიან?

– იმიტომ, რომ როგორც კი სადმე ბოთლი გაიხსნება, მაშინვე იქ ჩნდები.

●●●

სახლში დაბრუნებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ნუ მიყვირი. კორპორატიულზე არ დამილევია, მამაკაცებთან არ მიკოცნავია, მხოლოდ ვჭამდი და ვცეკვავდი, სხვა რაიმე შეკითხვა გაქვს?

– კაბა რა უყავი?

●●●

სახლში დაბრუნებულმა ქმარმა იატაკის წმენდით დაკავებულ ცოლს უკანალზე ხელი წამოარტყა და ეუბნება:

– შენი კომბაინი გასწიე და გამატარე.

ცოლს ეწყინა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ღამით ლოგინში ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩემკენ მოტრიალდი.

– კი, აბა, მეტი საქმე არ მაქვს, შენი ერთი საცოდავი თავთავისთვის ჩემი კომბაინი ავამუშაო. გადატრიალდი და ხელით დაფშვნენი!

●●●

მასწავლებელმა კლასს საკლასო წერის თემა მისცა: „მე რომ ფირმის დირექტორი ვიყო...!

ყველა მოსწავლე გულმოდგინედ წერს, მხოლოდ გიგი არ წერს არაფერს და ფანჯარაში იყურება. მასწავლებელი ეკითხება:

– გიგი, რატომ არ წერ?

– მდივანს ველოდები...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ნახევარ საქართველოს ვძულდი, მეორე ნახევარს ვუყვარდი“

„პროფილი“ 13 წლის გახდა



მაია ასათიანის ტოკშოუ პროფილი იუბილარია. გადაცემას დაარსებიდან 13 წელი შეუსრულდა. გადაცემა მაია ასათიანმა ტელეკომპანია „მზეზე“ დაიწყო, „რუსთავი 2“-ში გააგრძელა და ამჟამად „ტვ პირველის“ საეთერო ბადეშია. 13-წლიანი ისტორიის განმავლობაში „პროფილის“ სტუმრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები იყვნენ.

თავის წიგნში „სიცოცხლე ოცდახუთჯერ წამში“ მაია ასათიანი „პროფილზე“ ასე საუბრობს:

„ერთი წლის შემდეგ „პროფილი“ წლის ყველაზე რეიტინგული გადაცემა გახდა. გადაცემის პირველ წლებში ხუთშაბათს, საღამოს ათზე, საქართველოს ქალაქებში მოძრაობა ჩერდებოდა. ამ დროს ჩართული ტელევიზორების 84 პროცენტი ჩემს ტოკშოუს უყურებდა. „პროფილი“ იყო ყველგან: ყოფაში, მოდაში, ანეკდოტებში, ჭირში და ლხინში – მღეროდნენ ისე, როგორც „პროფილში“, ცეკვავდნენ ისე, როგორც „პროფილში“, ხუმრობდნენ ისე, როგორც „პროფილში“ და ტიროდნენ პროფილურად. ცხრა წლის განმავლობაში გადაცემა ქართული სატელევიზიო სივრცის რეკორდსმენი იყო, მუდმივი მაყურებლის ყველაზე მაღალი რიცხვით.

ნახევარ ქვეყანას ვძულდი „პროფილის“ გამო და მეორე ნახევარს ვუყვარდი იმავე მიზეზით. სიყვარულიცა და სიძულვილიც უკიდეგანო იყო, ზღვარზე – ისე, როგორც მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ. მე კი ჰამბურგერს ვაკეთებდი – გადაცემას ყველასთვის“.

დემნა გვასალია: „შუა ზაფხულში ბეწვის ქურთუკების გაკეთებას მთხოვენ“

ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას მიერ შექმნილი კოლექციების მიმართ ინტერესი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იზრდება. დიზაინერი არ მალავს, რომ შუა ზაფხულში ბეწვის ქურთუკების გაკეთებას სთხოვენ:

– შუა ზაფხულში ბეწვის ქურთუკების გაკეთებას მთხოვენ. თუ მოდის მსხვერპლი არ ხარ, ცხელ ზაფხულში ბეწვის ქურთუკი რად გინდა? ყოველ 2 თვეში ახალი კოლექცია უნდა შევქმნა და 2 კვირაში ერთხელ მაღაზიებში ახალი პროდუქტი შევიტანო. ვერ ვხვდები, ვის სჭირდება ამდენი ტანსაცმელი?

პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში დემნამ საინტერესო საკითხებზე ისაუბრა.

– რომელი იყო თქვენთვის ყველაზე დასამახსოვრებელი პირველი ვიზიტი ამერიკაში?

– მიყვარს ამერიკა. პირველად ამერიკაში 2003 წელს ჩამოვედი. მაშინ სტუდენტი ვიყავი. ბელგიაში სუნამოების კონკურსი ტარდებოდა. ჯილდო ნიუ იორკში 1 კვირით მოგზაურობა და სუნამოების კომპანიის პრეზიდენტთან შეხვედრა იყო. მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე. ჩამომიყვანეს ნიუ იორკში. სანამ კომპანიის პრეზიდენტის კაბინეტში შემიშვებდნენ, გამაფრთხილეს: „კომპანიის პრეზიდენტი ძალიან დაკავებული კაცია და 15 წუთზე მეტით არ მოაცდინო!“ 15 წუთი არა, 2 საათი ვიჯექი მის კაბინეტში. ეს პრეზიდენტი თბილისელი სომხების შვილი აღმოჩნდა.

– რატომ შეარჩიეთ მაკდონალდსი, დევნილების ხიდი და ევოლუციის მუზეუმი ჩვენებების ლოკაციებად?

– მაკდონალდსი ერთ-ერთი პირველი იყო, რაც დასავლეთიდან საქართველოში შემოვიდა, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. საქართველოში მაკდონალდსი კაპიტალიზმის ავტორივით იყო. ჩვენ ბავშვები ვიყავით, როცა მაკდონალდსი გახდა ადგილი, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყავი. მახსოვს, ჩემ გარშემო ვინც მდიდარი იყო, დაბადების დღეს ყველა მაკდონალდსში იხდიდა. ყოველთვის მინდოდა, მაკდონალდსში საკუთარი წვეულების გადახდა შემძლებოდა. ახლა შემიძლია.

რაც შეეხება კოლექციას, ის ინტერნეტის ბნელ და უხილავ მხარეზე გავაკეთე, მაგრამ მოფიქრებული არ მქონდა, ჩვენება სად გამემართა. საღამოს ჩემს მეუღლესთან ერთად სახლში ვიყავი, ფილმებს ვუყურებდით და შემთხვევით ფილმი „ღამე მუზეუმში“ ჩაირთო. საკუთარ თავს ვუთხარი, ჩვენება პარიზის ევოლუციის მუზეუმში უნდა გავაკეთო. ინტერნეტი, სმარტფონები რევოლუციაა, რომელმაც ჩვენს ევოლუციაზე დიდი გავლენა იქონია.

რაც ჩემს ქვეყანაში მოხდა, უდიდესი ტრაგედიაა. საკუთარ ქვეყანაში გავხდი დევნილი. დღეს ვუსმენ, რაც მსოფლიოში ხდება და ვბრაზდები. ამ ხალხს არ უნდა გაიგოს, რომ არავინ ალაგებს ბარგს და ტოვებს საკუთარ სახლს თავისი სურვილით. ტოვებენ იმიტომ, რომ სხვა გზა არ აქვთ. როცა კოლექციის ჩემს ყველაზე დიდ შიშებზე გაკეთება გადაწყვიტე, ვიცოდი, რომ ჩვენება პარიზის იმ ხიდთან იქნებოდა, რომელიც დევნილების უბანთან არის დამაკავშირებელი გზა.

– რატომ გირჩევნიათ შვეიცარია საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს?

– შვეიცარიის ბუნება და ხალხი მომწონს. შვეიცარიელ ხალხს მაღალი შეგნება აქვს. თუ გინდა, თავზე კაბაშემოხვეულმა იარე, არაფერს გეტყვიან. ციურიხის ქუჩებში საღამოს 8 საათის შემდეგ ხმაური არ გამიგია. ქუჩები სუფთაა და უსაფრთხო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გიორგი გილიგაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა და პოეტმა გიორგი გილიგაშვილმა ახალი კლიპი გადაიღო.

„სიმღერა მაგარი რამეა“ – ასე ჰქვია მის ახალ სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი მოცეკვავე სალომე ჭაჭუასთან და მეგობარ მუსიკოსებთან ერთად შექმნა.

გიორგი გილიგაშვილი პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ სწორედ სალომე ჭაჭუასთან ერთად ცეკვავდა, ამიტომ მათი კლიპში ერთად გამოჩენა არავის გაჰკვირვებია.

ენერგიულ სიმღერაზე შექმნილი ვიდეორგოლი ინტერნეტში გავრცელებისთანავე პოპულარული გახდა. მას უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი აქვს.

ჯოსვოიდი ›



შვეულად: 1. აბრეშუმის ჭია; 2. წიაღისეულის მომპოვებელი მიწისქვეშა საწარმო; 3. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 4. გემთმშენებელი საწარმო; 5. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 6. კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონი; 8. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი შტანგისტი; 10. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 11. მოულოდნელი საჩუქარი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. სომხეთის ძველი დედაქალაქი.

თარაზულად: 1. ქართველი კარდიოლოგი, აკადემიკოსი; 4. პორტუგალიური ვაზის ჯიში, რომლისგანაც ამზადებენ მადერას ტიპის ღვინოებს; 7. შიშველი, წვეტებიანი კლდე; 9. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. მოკლემეტრაჟიანი ქართული კინოკომედია; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ღვინის, დროსტარება-მხიარულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 20. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა